

# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჩაბრებით ბუდთის გაცანა ყულა უკადრისდბაგე უსამაგლესია.



**დაარსებულია**  
1918 წელს.

სამუშაოთი, **13** თებერვალი, 2015 წელი.  
№192 (7837)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@top.ge](mailto:sakresp@top.ge) ვებ გვერდი: [www.sakresp.ge](http://www.sakresp.ge) ფასი 50 თეთრი.

## ირაკლი ღარიბაშვილი ბაქოში მას შეეღებ მიიწვიეს, რას ირანსა და „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებზე ინფორმაცია განაჯაროვდა

**ქართული ოპოზიცია ბრალს სდებს ხელისუფლებას მსდლოგაუი - აღადგინოს ქვეყნის ენერგოლოკიდებულება რუსეთზე**



თბილისი გაზის მიწოდების გაღიღების შესახებ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებს ანარმობს



**რუსეთი - მისიის მახვილი?.. ხალიფატის ფახევე ადუღებული მიწა... პრასში თარხან ბათირაშვილი დიღუა?**

## როცა უახლოეს წარსულს ვიხსენებთ

**რატომ დავპარბეთ კოდორის ხეობა?**



## ორი განაჩენი ერთი ბრალდებულისთვის

**რას უფრო მაღა დაბრუნდება წართმეული ბიზნესები, მით უფრო მაღა გამყარდება ღარი**

**NDI**  
NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

**პარლამენტი თბილისში უნდა იყოს**

## ღამისი - იარიოზა!

**ვინ დარჩა ქვეყნის ერთგული?..**

სიმართლე დამეს ათენებს, სიტყვას ფასი აქვს აზრიანს, ჯგერად რომ დაეწნა ქართველებს, მირონცხებული გაზია...

მებრძოლი ერი გიყავით, უანგს არ იღებდა მახვილი... უთამამდება ჭილეყავით, თუ არწივია დაჭრილი.

უსამართლობით აგლედი, რაშს ვირი უგებს მარულას, ყალბად გვიღიმის გაღმელი, ფუქეს გვიბზარავს მალულად.

აზგირთებული ენგურია, ქაჯებთან ბრძოლას აპირებს, ვინ დარჩა ქვეყნის ერთგული, ხმალს ვინ შემოჭრავს გამპირებს?

აგვისრულდება ოცნება, შევლა შევთხოვოთ სალოცავს, მხდალი სილაჩრემ მოცელა, დამჭკნარ ბარდებში დაცოცავს.

ღამე გარდება ბუდიდან, გაბაცდა, შიშით კანკალებს, მომაგლის ხილვა თუ გვინდა, ნუ ვშლით წინაპრის ნაკვალევს.

არ შეეპუენ სიცივეს, მუხის ყლორტები ურჩები, ყინგასთან თავს არ გიმცირებს, ამ ზამთარს გადაგურჩები.

ჯანღმა სცადა, გერ დანისლა, ცა წმინდა სულთა საგანე, რომ იზეიმოს მაისმა, ერს ერთად ყოფნას აგალებს.

სამყარო შექმნა გამჩენმა, ზეცით, წყლითა და ხმელეთით, გვითხრა, თუ აქ გსურთ დარჩენა, სიმართლისათვის შეერთდით!..

**იუზა ჩამბატაძე**

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..**

# ირაკლი ლარიბაშვილი ბაქოში მას შეეღებ მიიწვიეს, რას ირანსა და „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებზე ინფორმაცია გასაჯაროვდა



ბაქოში ირაკლი ლარიბაშვილის ვიზიტი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის კანცელარიამაც კი, ინფორმაცია ვიზიტის შესახებ მხოლოდ მაშინ გაავრცელა, როცა პრემიერის თვითმფრინავი ბაქოში დაეშვა, — ამის შესახებ აზერბაიჯანული სააგენტო „ჰაქინი“ წერს.

„სინამდვილეში, ირაკლი ლარიბაშვილის ბაქოში ვიზიტი მოულოდნელი არ ყოფილა. ბოლო დღეებში რამდენიმე ქართველმა ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ საქართველო აზერბაიჯანული გაზისგან დამოკიდებულების შემცირებას აპირებს. ამ განცხადებების ფონზე შეგვეძლო გვევარაუდა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის კონტაქტი უმაღლეს დონეზე შედგებოდა“, — წერს გამოცემა.

კახი კალაძისა და „გაზპრომის“ მოლაპარაკებების გარდა, „ჰაქინი“ იხსენებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით დონდუას განცხადებას იმის შესახებ, რომ სექტემბერში თბილისში, ირანში მიმდინარე პროცესებზე სასაუბროდ, დახურული კონფერენცია გაიმართა.

„ამგვარად, დონდუამ საჯაროდ აღიარა, რომ გაზის დივერსიფიცირებაზე თბილისი და თეირანი საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავენ და სურთ, თაობაში ჩადებული ინვესტიცია არის ყველაზე გონივრული ინვესტიცია, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენს ქვეყანას დაუზრუნდება ათმაგად და ასმაგად. განათლების საერთაშორისო ცენტრის ლოზუნგიც სწორედ ესაა — „მოახმარე შენი ცოდნა სამშობლოს“. ამ იდეაზე დავაფუძნეთ ეს პროექტი და მიხარია, რომ ის შედგა და წარმატებულია“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე. პრემიერ-მინისტრმა განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელ ნინო ჭელიძეს განუხილა მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოში გაზის მიწოდების კუთხით „სოკარის“ მონოპოლია დაასრულონ.

„ვიტარების ამგვარმა მდგომარეობამ ოფიციალური ბაქო ააღელვა. ამიტომ, ირაკლი ლარიბაშვილი ბაქოში მას შემდეგ მიიწვიეს, რაც გასაჯაროვდა ინფორმაცია ქართული ხელმძღვანელობის საიდუმლო მოლაპარაკებებზე ირანთან და „გაზპრომთან“. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველ პრემიერს აეროპორტში აზერბაიჯანის ენერჯეტიკის მინისტრი დახვდა“, — წერს გამოცემა.

სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ენერგორესურსების დივერსიფიცირების მცდელობა სწორი ტაქტიკაა, თუმცა აქვე იხსენებს, რომ აზერბაიჯანი საქართველოზე გაზს დაბალ ფასად, „საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით და საქართველოსთან სამეკავშირეო ურთიერთობის გამო“ ყიდის.

„რამდენად სწორია ამ შემთხვევაში საქართველოს ხელი-სუფლების პოლიტიკა?“ — სვამს კითხვას ყურნალისტი. მისი მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, რუსეთს და ირანის დახმარებით, აზერბაიჯანზე ზენოლა მოახდინოს, გაზზე ფასების დაკლების მიზნით.

## მართლაც გვაოცებთ, პრეზიდენტო, თქვენი მრჩეველები...



საბარტეველს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ახალი მრჩეველი, ახალი მემორანდუმების თაგმჯდომარე ფიქრია ჩხრაძე იქნება. იგი პოლიტიკური საკითხებში იქნება მრჩეველი.

„ფიქრია ჩხრაძე დაიკავებს მნიშვნელოვან როლს ადმინისტრაციაში და იმ პროცესებში, რომლებშიც ჩართული არიან პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

ფიცი გენამს, მაგრამ ღმერთმა ქნას, ბოლომ არ გაგვეკვიროს...

## იწყება ახალგაზრდა სექციონისტთა დასაქმება

საბარტეველს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი განათლების საერთაშორისო ცენტრის ახალგაზრდების პირველი ნაკადის დასაქმება იწყება. მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის 14 კურსდამთავრებული პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მიიღო.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, კურსდამთავრებულთა დასაქმება საქართველოს საჯარო უწყებებში მოხდება.

„ძალიან მიხარია, რომ შეხვედრა გვაქვს. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. დღევანდელი დღე არის დასტური იმისა, რომ ეს პროექტი წარმატებულია, რაც მე ძალიან მახარებს. მეორე მხრივ, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ და გადავწყვიტოთ თქვენი შემდგომი, ასე ვთქვათ, ბედი და თქვენი ჩართულობა სახელმწიფო სამსახურში. ეს პროექტი პირადად ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია, ვინაიდან მჯერა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდებში, ჩვენ მომავალ

თაობაში ჩადებული ინვესტიცია არის ყველაზე გონივრული ინვესტიცია, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენს ქვეყანას დაუზრუნდება ათმაგად და ასმაგად. განათლების საერთაშორისო ცენტრის ლოზუნგიც სწორედ ესაა — „მოახმარე შენი ცოდნა სამშობლოს“. ამ იდეაზე დავაფუძნეთ ეს პროექტი და მიხარია, რომ ის შედგა და წარმატებულია“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე. პრემიერ-მინისტრმა განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელ ნინო ჭელიძეს განუხილა მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

## ლუკაშენკო ისევ პრეზიდენტია

საბარტეველს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ალექსანდრუსის პრეზიდენტად ახალი ვადით არჩევას ულოცავს.

საქართველოს მთავრობის მეთაური ბელარუსის პრეზიდენტს წარმატებას უსურვებს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების იმედს გამოთქვამს.

„დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და ბელარუსის მეგობრული ურთიერთობები მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გამოვხატო თქვენ-დამი ჩემი პატივისცემა და გისურვოთ წარმატება, მშვიდობა და კეთილდღეობა“, — ნათქვამია ირაკლი ლარიბაშვილის მილოცვაში.



ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები კვირას გაიმართა.

ალექსანდრე ლუკაშენკოს პრეზიდენტის პოსტზე ხელახლად არჩევას საქართველოს პრეზიდენტიც ულოცავს.

„ძვირფასო ალექსანდრე გრიგორის ძე, ჩემი და ქართველი ხალხის სახელით მსურს, მოგილოცოთ ბელარუსის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება. ბელარუსის მოსახლეობამ გადადგა კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ნაბიჯი განვითარებისაკენ, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს თქვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლასა და კეთილდღეობას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი შემდგომი მოღვაწეობა კვლავაც მოემსახურება ჩვენს ქვეყნებს შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის განვითარებას და ჩვენი ხალხების კეთილდღეობას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას და გისურვებთ წარმატებას შემდგომ საქმიანობაში“, — აღნიშნულია მილოცვაში.

## დავით ნარმანი: არც ერთი პროექტი შეჩერებული ან შეფერხებული არ არის

თბილისში გაჭიანურებული მშენებლობა არსად არ მიმდინარეობს, გარდა ორი პროექტისა, რომელიც კონტრაქტორი კომპანიების დაუდევრობით არის გამოწვეული, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ განუცხადა „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც ნარმანიამ აღნიშნა, მათ მიმართაც შესაბამისი ზომები გატარდა. „ასე რომ, არც ერთი პროექტი შეჩერებული ან შეფერხებული არ არის. ესეც ხელოვნურად წამოწეული თემაა ჩვენი ოპონენტების მხრიდან და რეალობასთან კავშირი არა აქვს. თუ გულისხმობთ იმას, რომ რომელიმე ხიდის ან გზის შეკეთების მიმდინარე სამუშაოს გამო ქალაქში მოძრაობა შეფერხებულია, ეს ბუნებრივი პროცესია და ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქალაქს, სადაც რაიმე სახის საინჟინრო სამუშაოების გამო არ ხდება მოძრაობის შეფერხება. ხიდის შეკეთებას მინიმუმ 3-4 თვე სჭირდება, ისევე როგორც გარკვეული პერიოდი სჭირდება გზის დაგებას. კომპანიამ, რომელიც ზაპსში ხი-

დის რეაბილიტაციაზე მუშაობდა, ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, ამიტომ მასთან გავწყვიტეთ ხელშეკრულება და დავაჯარიმეთ. მეორე კომპანია, რომელიც საგზაო სამუშაოებს ასრულებდა და აქვს ვადაგადაცილება, 300 ათასზე მეტი ლარით დაჯარიმდა“, — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, ეს კომპანია „ხიდი“, რომელიც ზაპსის ხიდს აშენებდა, ხოლო საგზაო კომპანია, რომელსაც აქვს გარკვეული ვადის ჩამორჩენა, არის „არენა მშენი“.

„ზაპსის ხიდის სამუშაოები ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილია ხიდი, სადაც ფასთა გამოკითხვა ჩატარდა და გამოკითხვაშიც ამ კომპანიამ გაიმარჯვა. ეს არ არის პირდაპირ დადებული ხელშეკრულება, ხოლო დიდი ნაწილი ამ ხიდისა ხელახლა გადის ტენდერზე და ტენდერში გამარჯვებული კომპანია გააგრძელებს იქ მუშაობას. ეს არის ისეთი კომპანია, რომელსაც მენეჯმენტი არ გააჩნია, ელემენტარული საკითხები ვერ მოაგვარა და ვერ მოაწესრიგა. ჩვენგან აღებული ავანსი სხვა პროექტს მოახმარა, თუ სად წაიღო, არ ვიცით(?!).

ფაქტია, ავანსად რა თანაც არის წაღებული, ამის ადეკვატური სამუშაოები არ არის შესრულებული, ამიტომ ჩვენ დავინფორმირებთ საბანკო გარანტიის ამოქმედებას და ჩვენი თანხის დაბრუნების პროცედურებში. რამდენჯერმე გავაფრთხილებთ ეს კომპანია. პირადად ჩემთანაც იყო რამდენჯერმე მისი ხელმძღვანელი დაბრუნებული. ადგილზეც ვიმყოფებოდი და ვატარებდით პერიოდულ მონიტორინგებს. ამიტომ ის, რაც მოხდა, 100%-ით კომპანიის ბრალია და თუ რამე პრეტენზია აქვთ მერისათვის, შეუძლიათ, გვიჩვენონ სასამართლოში და შესაბამისად ვაგებთ პასუხს“, — განაცხადა ნარმანიამ.

### კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● სმა გავარდა, დეფი საქართველოს ტოვებსო!  
რა გითხრათ, რით განუგებოთ?  
პირველი, რამაც თავში გამივლვა, ის იყო, რომ ნაცებს საბოლოოდ დაერხათ, თორემ 2016-მდე გაძლებდა ერს „შენი“ რული მწერალი“.  
მერე გულისწყვეტა დამეფულა. როგორ ვერ მივხედე, როგორ ვერ გავფრთხილდით

თბილისის ცირკს. არადა, რა კარგი სანახავი იქნებოდა სტეფანეს ჰანგებზე დეფის პოეზიის მოსმენა ავტორების შესრულებით!  
ალარ ვიცი, რა ვიფიქრო. ისევ მტანჯავს მოუსვენარი ფიქრი: მართალია თუ ჭორია?  
● ბატონო ბიძინა, თვა ნუ ლუკიანმა რომ რეკლამა მიიტანა და იმ რეკლამაში გადახდილი ფულით „ქერის უბანი“ რომ

გადაიღეს, რომელ საათზე იწყება?  
● თინათინ და თამარ ხიდაშლების მიმართვა გარეკახეთს (საგარეჯოს):  
შენ ჩემთვის რა გატირებდა, მე შენთვის რა მირგიაო?  
● როდესაც რაიმე პოლიტიკური მოვლენის პროგნოზირებისას მავანი ამბობს: ამით საქართველო დამოუკიდებლობას დაკარგავსო, — გამახსენდება ხოლმე, დამოუკიდებლობა რომ ვართ, და გული სიამაყით მეცხება!  
ამოკრება  
ბინა გაზარიძე

„საბჭოთა ლაპარაკის ნაცვლად“ – გახსოვთ, ალბათ, ნაცვლის ეს ცინიკური ლოზუნგი, რომლითაც 2012 წლის არჩევნების წინ კიდევ ერთხელ სცადეს ხალხის მოტყუება. როგორც იტყვიან, ნაცვლის ნაცვლად ის შეაჩნა ხელში, რასაც იმსახურებდნენ, რაც ბეჭდური სიტყვა არ არის და ამიტომ ვერ ვინმე არ სიტყვას... თუმცა, როგორც ჩვენში იტყვიან, გამგები გაიგებს, რაც იგულისხმება ამ ჩემი „მოკრძალების“ მიღმა...



# რუსეთი – მუსიის მასპინძელი?..

**ხალიფების ფესქვე ადუღებული მიწა...**



ჰოდა, შეაჩნა და ნაცვლად, როგორც ჩვენში იტყვიან, „შააყოლეს“ ხელისუფლებიდან. თუმცა ამერიკელთა ზღვარგადასული მხარდაჭერის გამო პოლიტიკაში მანაც დარჩნენ და ნაცვლის ბელადი უკრაინიდან, ხოლო აქ დარჩენილი „მთავარი ოპოზიციური ძალა“ პარლამენტიდან, დღემდე დაცვინიან და ნერვებს გვიშლიან...

ვლადიმერ პუტინმაც ნაწილობრივ გაიზიარა ნაცვლის ლოზუნგი. ნაწილობრივ, რადგან ლაპარაკითაც ილაპარაკა გაეროში და მეორე დღესვე ლაპარაკს საქმე მოაყოლა – 30 სექტემბერს რუსეთის ავიაციამ პირველი და ისეთი ძალის დარტყმა მიიყენა ენ. ისლამური ხალიფატის ინფრასტრუქტურას, რომ ტერორისტების ფესქვე, როგორც იტყვიან, მინა ადუღდა...

მაგრამ დაეუბრუნდეთ გაეროს ისტორიულ სესიას, რომელსაც ისტორიული არა მხოლოდ იმის გამო შეიძლება ვუწოდოთ, რომ სტალინის ძალისხმევით შექმნილ გაეროს დაარსებიდან სათუბილო 70 წელი შეუსრულდა, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინის სიტყვამ უკვე ყველასთვის ცხადყო, რომ სსრკ-ს დანგრევის შემდეგ ერთპოლუსიან მსოფლიოში აშშ-ის დაუსჯელი პარპაში და მთავრდება!

ჯერ აშშ-ის პრეზიდენტი ობამა ავიდა გაეროს ტრიბუნაზე, და, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი აქცენტები უკრაინაზე – დონბასში რუსეთის რეგულარული არმიის ყოფნაზე (რაც დღემდე დოკუმენტურად აშშ-ის მძლავრმა სპეცსამსახურებმა ვერ დაამტკიცეს) და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაზე გააკეთა. იმ ყირიმის (რეფერენდუმსაც რომ თავი დავანებოთ, რომლის ძალითაც ყირიმის ნახევარკუნძული რუსეთის ფედერაციის სუბიექტი გახდა), რომელიც თუ არ ჩავთვლით ნიკიტა ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულ გადაწყვეტილებას გასული საუკუნის 50-ან წლებში, ეკატერინე დიდიდან მოყოლებული ყოველთვის რუსეთის განუყოფელი ნაწილი იყო და გინდაც მხოლოდ უხეში ძალით ყოფილიყო ანექსირებული, ამით მხოლოდ ისტორიული საპართლიანობა აღდგებოდა და აღდგა კიდევც!..

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინს, რომელიც გაეროში 10 წელიწადია, აღარ გამოსულა, მისი სიტყვა, როგორც ყოველთვის, პირდაპირი, უბრალო, ყველასთვის გასაგები ენით გამოიჩნეოდა.

მან მოკლედ მიმოიხილა აშშ-ის ბოლო, განსაკუთრებით ერაყის ავანტიურიდან მოყოლებული საგარეო პოლიტიკა ვიდრე ენ. არაბული გაზაფხულების ჩათვლით, რამაც გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიგრაცია, ლამის რომ წაღვეთა დაგაცხნილ-მაძლარი ევროპა და, როგორც იტყვიან, ჯერ სად არიან...

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვის პათოსის ზუსტად გადმოსაცემად მისი ერთი ნათქვამი რუსულად უნდა მოვიყვანო:

**Вы хоть понимаете чего сотворили!**  
მოკლედ მიმართა ამერიკელებს და ვრცლად მე შეგახსენებთ „ჩვენი ანი ნატვარილი“:

ერაყში, მართალია, მასობრივი განადგურების იარაღი ვერ უმოგეს სადამ ჰუსეინს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, ალბათ, ბევრი რომ არ ელაპარაკა, სასწრაფოდ ჩამოახრჩვეს. რის შემდეგაც ერაყში ქაოსმა და ანარქიამ დაისადგურა, რომელიც მთელს ახლო აღმოსავლეთს მოედო და უკვე ისლამური ხალიფატის სახით წაღვეთი ემუქრება მთელ ცივილიზაციას და პირველ რიგში, ქრისტიანულ კულტურას...

ეგვიპტეში ჰოსნი მუბარაქი დააპატიმრეს, რამაც ხელისუფლებაში ფუნდამენტალისტი ენ. „მუსლიმთა სამოს“ მოსვლა გახდა შესაძლებელი, პარტიისა, რომელიც ჰოსნი მუბარაქის მიერ აკრძალული იყო ეგვიპტეში. საბოლოოდ ეგვიპტის სამხედრო ძალების სარდალმა გენერალმა ალ-სისიმ ქვეყნის კონსტიტუცია დროებით შეჩერებულად გამოაცხადა და პრეზიდენტი მურსი და „მუსლიმთა სამოს“ ელიტა გისოსებს მიღმა აღმოჩნდა! ეგვიპტის სასამართლომ კი უკვე სამუდამო პატიმრობამისჯილი, ეგვიპტის ეროვნული გმირი, მოხუცი ჰოსნი მუბარაქი უდანაშაულოდ ცნო...

ტუნისიდან პრეზიდენტი ბენ ალი გააქციეს და ერთ დროს ელიტური ტურიზმის ქვეყანაში, ისტორიულ კართაგენში, ისეთი „დემოკრატია დამყარდა“, რომ ისლამისტი ტერორისტების შიშით ბევრი ვეღარ ბედავს ტუნისში დასასვენებლად ჩასვლას, რადგანაც უკვე ბევრს იქ დასვენება გასვენებად ექცა...

ლიბიაში ხომ საერთოდ ამერიკელებმა ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მოამორკადღე გამძვინვარებულ ბრბოს მიუგდეს გასაგლეჯად – გაგლეჯეს კიდევ და ისეთი ქაოსი და სილატაკე სუფევს დღეს ერთ დროს ეკონომიკურად მძლავრ და პოლიტიკურად სტაბილურ ლიბიაში, რომ კადაფის გამგლეჯი ლიბია კადაფის დროინდელ უზრუნველცხოვრებას სინანულით მისტირის...

ენ. არაბული გაზაფხულების ჩარჩოებში ერთადერთი სირიის პრეზიდენტი ასადს ვერაფერი მოუხერხეს ამერიკელებმა, რადგანაც სწორედ სირიაში გამოაჩინა პირველად კბილები რუსულმა დათვმა. თორემ მანამდე სსრ კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია გასული საუკუნის 90-იანებიდან მოყოლებული უკანა თათებზე შედგარა ალიკაპანის ცირკის დათვის უფრო შავ-და, ვიდრე ტაიგის (ნაიკითხე რუსეთის) ბატონ-პატრონს.

მოკლედ და ფიგურალურად ძველქართულად თუ ვიტყვით – პუტინმა ობამას სირიაში კაი „სირი“ დააჭერინა!

ვისაც „სირის“ საბასეული განმარტება „ჩიტა“ არ მოგწონთ, ის იგულისხმეთ, რასაც ფიქრობთ...

ვლადიმერ პუტინმა თქვა თავისი სათქმელი და გაეროს ტრიბუნიდან პირდაპირ მოსკოვს მიაშურა, სადაც მეორე დღესვე რუსეთის დუმამ ერთსულოვანი თანხმობა მისცა მას რუსეთის არმიის რუსეთს მიღმა მოქმედებებზე და იმვე საღამოს რუსეთის ავიაციამ პირველად დაარტყა ისლამური ხალიფატის პოზიციებს!

იმ დღეების პოლიტიკური სატელევიზიო თოქ-შოუები სწორედ ამ თემას განიხილავდნენ, სადაც ცნობილმა რუსმა მწერალმა პოლიტიკოსმა (სხვათა შორის, წარმოშობით თბილისელმა) ალექსანდრე პროსანოვმა ვლადიმერ პუტინს მოუწოდა, რომ იმ შემთხვევაში თუ რუსულ თვითმფრინავს ჩამოაგდებენ და პილოტები ტყვეებად ჩაუტყვევდებოდათ (რაც ადვილი შესაძლებელია) სადისტ ისლამისტებს, ხელისუფლებამ მშვიდად არ უნდა უყუროს, თუ წითელბაღდად ხინაინ ტყვეებს, საჯაროდ როგორ მოაჭრიან თავებს. მართლაც არა მგონია, რომ რუსეთი ამერიკასავით უნიათოდ მოიქცეს, როდესაც მისივე პოლიტიკის გამო ვიდუკამერე-

ბის თანხლებით თავებს აყრევიან აშშ-ის მოქალაქეებს და თეთრი სახლი მათ ჭირისუფლებს სამძიმრის ფარატინა დეპუტებს უგზავნის...

რუსეთის ავიაციამ ორ დღეში გააკეთა ის, რაც აშშ-ის 60-სუბიექტიანმა კოალიციამ 2 წელიწადში ვერ გააკეთა, რადგანაც ამერიკელების მიზანი არა ხალიფატის წინააღმდეგ რეალური ბრძოლა, არამედ სირიის პრეზიდენტის დამხობა იყო და არის!

რუსეთის საჰაერო კოსმოსური ავიაციის მთავარი შტაბის უფროსის მოადგილემ ანდრეი კორტაპოლოვმა განაცხადა, რომ დაზვერვის მონაცემებით, ისლამური ხალიფატის ჯარში პანიკამ დაისადგურა და 600-დე მოხალისეს ხალხის წაერთვა და დეზერტირობა დაიწყო. რის გამოც, აცხადებს გენერალი, ავიადარტყმებს უფრო გაეაძლიერებო!

გენერალმა ისიც დაამატა, რომ მათ გააფრთხილეს დასავლეთელი პარტნიორები, რათა რუსეთის ავიაციის სამოქმედო არეალიდან გაიყვანონ ენ. სამხედრო კონსულტანტები და შემთხვევით გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შეწყვიტონ ფრენები რუსეთის ავიაციის პარალელურად!

დაინგრა კიდევ ერთი მითი, რომ რუსეთის დაუანგებული ტექნიკა ვერც ისვრის და ვერც გადაადგილდება – რუსეთის ავიაციის ძველი მოდერნიზებული თუ სრულიად ახალი თვითმფრინავების უზუსტეს დარტყმებს, რის გამოც ბაშარ ასადის განწირული არმია თავდაცვიდან უკვე შეტევაზე გადადის, უილაჯო აღმუშავებები ადგენებს თვალს ნატო (ნაიკითხე აშშ) და საინფორმაციო ომი გაიჩაღა დასავლურ მედიაში, თითქოს რუსები ხა-

ლიფატს კი არა, ასადის „ზომიერ ოპოზიციონს“ ურტყამენ და უკვე აჩვენეს რუსთა ავიადარტყმების გამო დალუპული მშვიდობიანი მოსახლეობა!

იქნებ ასეც არის (???), მაგრამ რას იზამ, ომში უზუსტესი ტექნიკის პირობებშიც კი, სამწუხაროდ, მშვიდობიანი მოსახლეობაც ზარალდება, მაგრამ ამერიკელთა შინური ნაცვლის არ იყოს, რომლებიც დღეს ბედავენ და მორალს გვიკითხავენ, ვინ ლაპარაკობს ჰუმანიზმზე და რა მორალური უფლებით?

ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი, ვიეტნამი, სადაც ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ენ. „კავროვი“ ბომბარდირებით, ნაპალის ბომბებით პირისაგან მინისა ალგავეს სოფლები თუ ქალაქები, მართლმადიდებელი (!) სერბეთის (ერაყ-ლიბიაზე და ა.შ. უკვე ვთქვით) მუხანათური დაბომბვები ძირითადად ღამით ხდებოდა, რათა მსხვერპლი რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო და ა.შ. ამერიკელთა მუხანათობების ჩამოთვლა ღამის უსასრულოდ შეიძლება...

ვიეტნამი ვახსენეთ და ვიეტნამში ტყვედ ნამყოფმა ჯონ მაკკეინმა პირდაპირ განაცხადა, რუსეთის ავიაციამ ამერიკელთა მიერ განვრთნილ, ასადის წინააღმდეგ აჯანყებულებს დაარტყაო!

არც ეს არის გამორიცხული, რადგან ამერიკელთა მიერ შეიარაღებული ენ. ზომიერი ოპოზიცია ძირითადად ისლამურ ხალიფატს კი არა, სირიის რეგულარულ არმიას ებრძვის, რომელიც მინაზე რუსეთის ავიაციის ერთადერთი მოკავშირეა!

ზემოთ ჩამოთვლილი არაბული ქვეყნების ლიდერები, რა თქმა უნდა, დიქტატორები თუ არა, მინიმუმ ავტორიტარი მმართველები იყვნენ და არიან. სხვანაირად ვეც შეძლებენ მართვას.

თურქეთი და, აზერბაიჯანი ისლამურ სამყაროში ენ. „სვეტსკი“ ქვეყნებად ითვლებიან. ასევე „სვეტსკებად“ ითვლებოდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ლიბია-სირია მანამ, სანამ არაბულმა გაზაფხულებმა არ დაანგრია მათი სახელმწიფოებრიობა!


ქალს რომ უჩადროდ ქუჩაში სიარულის და საარჩევნო უფლებით სარგებლობის უფლება აქვს, ეს ისლამისთვის თითქმის მაქსიმალური დემოკრატიაა და ის ვერ, უფრო სწორად, არ უნდათ გაიგონ ამერიკელებმა, რომ ისლამური, სხვათა შორის, მართლმადიდებელი ქვეყნებიც არასოდეს მიიღებენ, უკაცრავად პასუხია, და ტრაკუმეშვლა, ერთსქესიანი ქორწინებების დემოკრატია!

თუმცა, საუდის არაბეთზე, ყატარის დიქტატორულ რეჟიმებზე სიტყვას არ ძრავენ იანკებისთვის ჩვეული ორმაგი სტანდარტების გამო – ისინი ძალიან შეიშლებიან კი არიან, მაგრამ აშშ-ის ძალიან შეიშლებიან არიან და რაც აშშ-ის მოკავშირე ისლამურ სახელმწიფოებს დემოკრატიად ეთვლებათ, ის არ ეპატიებათ სხვებს, ვინც აშშ-ის დიქტატს არ ემორჩილება!

იმიტომაც შეაჩერა ევროსაბჭოსთან ურთიერთობები ჩვენმა მოძვე აზერბაიჯანმა, რომ დასავლეთი ზედმეტად ყოფს ცხვირს ოფიციალური ბაქოს საშინაო პოლიტიკაში და ბრაავო ილჰამ ალიევს!

**ერთი სიტყვით, რუსეთის ფედერაცია ისლამური ხალიფატის სახით ქრისტიანული კულტურის მტრებს ეომება, ანუ რუსები ჩვენს, ქართველების საქმესაც აკეთებენ და ამიტომაც სათაურად გამოვიყენე ის, რაც გამოვიყენე, მაგრამ ბოლოში ვიტყვი, რომ კითხვის ნიშანი იქნებ ზედმეტიც იყოს...**

**დავით მხეიძე**



**ალიან-ჩალიანი**  
**რუსული მუსიის ინფორმაციით, პრაქში თარხან ბათირაშვილი დაიღუპა**  
მარაშში, ავიაიერიშის შედეგად თარხან ბათირაშვილი, მეტასახელად უმარ ალ-შიშანი დაიღუპა. ამის შესახებ რუსული მედია, ირანულ სააგენტო „ირნა“-ზე დაყრდნობით იტყობინებს.  
როგორც სააგენტო ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით წერს, ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ავტოკოლონა დაბომბეს, რომელშიც „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი და კიდევ რამდენიმე საველე მეთაური იმყოფებოდნენ. ავიაიერიშის შედეგად ალ-ბაღდადი დაიჭრა, მისი 3 მოადგილე კი – უმარ ალ-შიშანი, აბუ საიდ ალ-კარბული და აბუ ანის ას-სურის დაიღუპნენ, – წერს „ირნა“. ერაყულმა თვითმფრინავებმა ავიადარტყმა ერაყის დასავლეთში, პროვინცია ანბარში, სირიის საზღვრის იახლოვებს მიიტანეს.  
ინტერპრესი

NDI-ის გამოკითხვა

პარლამენტი თბილისში უნდა იყოს

ბოლო მასშტაბური გამოკითხვა (4048 რესპონდენტი), რომელიც NDI-ის ოფისმა ჩაატარა, ალბათ, კვირის მნიშვნელოვანი თემა გახდება პოპულარული გამოკითხვისა და სმაპირიანი პოლიტიკური შეფასებისთვის, ვინაიდან ის პირდაპირ უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის ინიციატივას – „პანორამა თბილისის“ პროექტს. ამერიკული ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის აქტიური ინტერვიუების შრომის შედეგი ისაა, რომ გამოკითხულთა უმეტესობას „პანორამა თბილისის“ არ მოსწონს (41 პროცენტი – მიუღებელი, 32 პროცენტი – მისაღები, 26 პროცენტს – პასუხი არა აქვს). კითხვარი არ შეიცავდა დამატებითი არგუმენტების საჭიროებას – რატომ? უბრალოდ, ადამიანებს ყურმოკვრით გაუგიათ, რომ პროექტი ცუდია, ამიტომაც არ მოსწონთ – მორჩა და გათავდა!!!

NDI-ის ხელმძღვანელის ლაურა ტორნტონის თქმით, ორგანიზაციის ჩატარებული კვლევები სწორედ იმას ემსახურება, რომ საზოგადოების განწყობა პოლიტიკოსებმა გაიზიარონ. ივანიშვილი პოლიტიკოსი არ არის, ბიზნესმენია, მაგრამ კითხვა იმდენად პოლიტიკურია, რომ... ალბათ, „კოკავ, შენ გეუბნებიან, ლიტრავ, შენ გესმოდეს“ პრინციპია...

საკავშირის მთავრობა ისე დგამდა ხან ველოსიპედის, ხან შლოპანცების ძეგლს, არასოდეს ხალხის აზრი არ გაუთვალისწინებია, ვინმეს ოდესმე უკითხავს საზოგადოებისთვის, გენდოდა თუ არა ამა თუ იმ ძეგლის გადატან-გადმოტანა, ფასადების უხეიროდ შეღებვა-გარემონტება, უსახური სვეტების აღმართვა, ცათამბჯენების აგება?! მაგრამ, ახლა „ნამეტნავად დემოკრატიულობის“ ხანაში უმნიშვნელოც კი მნიშვნელოვანია, მით უფრო „პანორამა თბილისის“, რომელიც ოლიგარქის სახელს პირდაპირ უკავშირდება.

ლაურა ტორნტონის ბიურო პოლიტიკურად საინტერესო კვლევებს ხუთშაბათისთვის გეპირდება, ამჯერად კი „წერილმანი პრობლემებით დაგვაკმაყოფილა – საზოგადოების განწყობა სოციალურ-ეკონომიკურ ქრილში, რომელთა კვლევაშიც NDI-ისთან ერთად ორგანიზაცია CRCRC-იც მონაწილეობდა. ამბობენ, რომ კითხვარების შედგენაში თავად ადგილობრივი თვითმმართველობის, მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაიხმარეს. ეტყობა, კითხვები – ივანიშვილის მასშტაბური პროექტისა და ვერეს ხეობის შესახებ ერთ-ერთმა არასამთავრობო შეაპარა, რადგან ამ ორ თემას არაფერი აქვს საერთო 2014 წელთან, ანუ იმ პერიოდთან, რომლის გარშემოც ორგანიზაციის კითხვები ტრიალებდა.

კვლევის პროცესისთვის მოცულობითი ნაწილი დაეთმო მეტაოლოგიის აღწერას. ვინაიდან, ყველაზე მეტი ეჭვი სწორედ ამ პროცესის მიმართ უჩნდება ხოლმე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსებს. მივყვით ქრონოლოგიას. გასულ წელს საცხოვრებელი პრობლემა ძალიან მცირე ნაწილს გაუშფოვებდა, უმეტესობისთვის დარჩა იგივე, ხოლო ნაწილს გაუუარესდა. ადამიანები თავიანთ საცხოვრებელ ადგილს უსაფრთხოდ მიიჩნევენ, მაგრამ რეგიონის თითქმის ყველა ქალაქსა თუ სოფელში ამბობენ, რომ დასაქმება ძნელია. მხოლოდ თბილისისა და ბათუმის მაცხოვრებლები არ არიან ამ მხრივ შეზღუდულნი. მოსახლეობის უმთავრესი პრობლემა ისევ დასაქმებაა. 2/3 თავს დაუსაქმებლად მიიჩნევენ, თუმცა, იმ ადამიანთა შემოსავალი, რომლებსაც სახსრები გააჩნიათ, ზუსტად ხარჯების ტოლია, ანუ ფულის დაზოგვასა და დეპოზიტებზე საუბარი უნდებოდა. რეგიონებში ერთი ოჯახის ყოველთვის საშუალო ხარჯები 260-300 ლარია, თბილისში 400-800 ლარი...



ბით ერთხელ მაინც უსარგებელია.

მაგრამ გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა არაფერი იცის სხვა სერვისების შესახებ. მაგალითად, გუბერნატორის, მერიის, საკრებულოს სამსახურების შესახებ. მათ, ვისაც ურთიერთობა ჰქონიათ ამ ორგანოებთან, ცუდი შთაბეჭდილება არ დარჩენიათ. კმაყოფილები არიან კომუნიკაციით, კომპეტენციით, ბევრს დაეხმარნენ კიდევ და პოპულარულმა მოუგვარეს... და მაინც, ადგილობრივი თვითმმართველობა, მერიის სამსახური, გუბერნატორის ადმინისტრაცია ის ინსტიტუტებია, რომელთა მიმართ ნდობა არც თუ მაღალია. გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის მათი წარმომადგენელი საკრებულოში. მაგალითად, საგარეჯოს მოსახლეობის 46 პროცენტმა არ იცის, ვინ არის მათი საკრებულოს თავმჯდომარე. თითქმის იგივე მდგომარეობაა თელავში. თელაველთა 25 პროცენტის აზრით, თელავის მერი კარგია. ოზურგეთის მერის მუშაობას გამოკითხულთა უმრავლესობა საშუალოდ აფასებს. ქუთაისისა და ზუგდიდის მერების მუშაობასაც საშუალო შეფასებას აძლევს ადგილობრივთა 50 პროცენტი. თბილისის მერს დავით ნარმანიას – კი 36 პროცენტი ცუდად აფასებს...

„ამ კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურათი ნეგატიურია, – აღნიშნავს ლაურა ტორნტონი, – კვლავ პრობლემად რჩება დასაქმება. ცუდია, რომ დასაქმებულ მოსახლეობას დეპოზიტების საშუალება არ ეძლევა, ასევე ძალიან ბევრი პენსიასა და სოციალურ შემოსავალზე არის დამოკიდებული და დამატებით შემოსავალი არა აქვს. კარგია, რომ მოსახლეობას მოსწონს სამედიცინო დახმარების სერვისები და იუსტიციის სახლების მომსახურება... დაბალია ნდობა არსებული თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახების მიმართ, რაც იმაზე მინიშნებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი გარდაქმნა სჭირდება. იმედი მაქვს, პოლიტიკოსები მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენებენ ჩვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მოსახლეობის შესახებ“, – დასძინა მან.

სხვა საქმეა, ენდობა თუ არა ხელისუფლება კვლევის შედეგებს, რამდენად ობიექტურად აღიქვამენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები NDI-ის მონაცემებს... ისე, ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ლუის ნავაროს კვლევებისგან განსხვავებით, ახალი რეიტინგები შედარებით ახლოს დგას სინამდვილესთან...

თაა მოსია

ანონსი

სამინისტროს ანგარიში



ბუშონ, 12 ოქტომბერს, სასტუმრო „რედი-სონ ბლუს“ საკონფერენციო დარბაზში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, „ლია მმართველობის“ ფორმატში უწყების სამწლიანი მუშაობის ანგარიში წარადგინა და საზოგადოებას პენიტენციური სისტემის მიღწევები და არსებული გამოწვევები გააცნო. მთავრობისა და პარლამენტის წევრების, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლების წინაშე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი. ვრცელ მასალას აღნიშნული ღონისძიების შესახებ გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

ოთარ ტურაბაილიძე

გვიხაზრებიან

„რა ოჯახშია გაზრდილი, რომელი ოჯახი ჰყავს?“

ბაზაი, „საქართველოს რესპუბლიკის“ 2015 წლის 1 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობილი ჟურნალისტის ვადიმ ანასტასიადის წერილი „იპრანჭება კიდევ“, რომელიც ეხება გასული საუკუნის 60-იანი წლების ორი მნიშვნელოვანი პიროვნების, მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების ვასილ მუჟაგანაძისა და შოთა ჭანუყვაძის ურთიერთობებს საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით. ერთ ძალიან მნიშვნელოვან შტრიხს, ამ თემასთან დაკავშირებით მეც გაგახსენებთ, რაც არაერთხელ გამოგონია ჩემი უფროსი მეგობრებისგან. ბატონი ვასილ მუჟაგანაძე, როცა საკადრო საკითხს ხილავდა, შესაძლებელი კანდიდატთან დაკავშირებით, პირველ რიგში იკითხავდი ნოლმე, რა ოჯახშია გაზრდილი და როგორი ოჯახი ჰყავს პირადად მას? აი, საქმისადმი დამოკიდებულების ქართული სახელმწიფოებრივი მიდგომა!

ანზორ ბაბუხაძე

ალიან-ჩალიანი

დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ან კვლევებს, მით უფრო აპროტირებისთვის არ ღირს



მს არ არის ისეთი კვლევა, რომ შევფასოთ, ან გადავფასოთ, – აღნიშნული განცხადება რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა NDI-ის იმ კვლევასთან დაკავშირებით გააკეთა, რომელიც საცხოვრებელი პირობების შესახებ გამოკითხვას შეეხებოდა. „NDI-ის კვლევებს მე ძალიან დიდი ხანია ვუსმენ, ოღონდ ვიღაცას ძალიან უნდა უნდოდეს, რომ მაგაზე დასკვნები გააკეთოს. მე ვფიქრობ, ეს არ არის ისეთი კვლევა, რომ შევფასოთ, ან გადავფასოთ, იმიტომ, რომ გავისწავლოთ თუ გნებავთ წინასწარჩვენო კვლევები. „ნაცმოძრაობას“ მხარდაჭერა 100%-მდე ჰქონდა. ასე, რომ როდესაც არსებობს ასეთი პრეცედენტები, დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ კვლევებს, მით უფრო აპროტირებისთვის არ ღირს.

რადაც დონზე სამსჯავრო არის, მაგრამ მასზე მე დასკვნებს არ გავაკეთებ“, – აღნიშნა ნოდარ ჯავახიშვილმა. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის, NDI-ის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ 2014 წლის ივნისის შემდეგ ქალაქსა თუ სოფელში საცხოვრებელი პირობები იგივე დარჩა. გამოკითხულთა 9% აცხადებს, რომ ყველაფრის გათვალისწინებით, 2014 წლის ივნისის შემდეგ საცხოვრებელი პირობები მის ქალაქში/სოფელში გაუმჯობესდა, 47% – იგივე დარჩა, 43% – გაუარესდა.

მთავრობა მზად არის, პენსიის გაზრდის საკითხზე პარლამენტთან ერთად იმუშაოს



ასამთი მზაობა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ გამოხატა. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას, კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი სუნდაძემ კიდევ ერთხელ დასვა პენსიის გაზრდის აუცილებლობის საკითხი და განაცხადა, რომ ეს არ არის თემა, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს არჩევნებთან, ან პოპულარული ზომით. სუნდაძის შეფასებით, პენსიის გაზრდის რესურსი საბიუჯეტო პროექტით არსებობს. მისი თქმით, ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი გაზრდილია. დეპუტატმა ის მიმართულებები დაასახელა, საიდანაც მისი აზრით, შეიძლება რესურსის გამოიყვანოს. „წინასწარ ვერ ვიტყვით, რომელი კატეგორიის და რა მიზნობრივი ჯგუფისთვის შეიძლება ზრდა, მაგრამ მუშაობა შესაძლებელია თქვენს კომიტეტთან ერთად, იგივე ჯანდაცვის სამინისტროსთან და მთავრობის ყველა წევრთან უნდა იყოს ამ პროცესში ჩართული. პრიორიტეტები ასარჩევია და რესურსი გადასანაწილებელია. შესაძლოა, შემდეგ რესურსები დაკორექტულდეს. კონკრეტულ ციფრებს ვერ ვიტყვით, სამუშაოდ მზად ვართ და გადამწყვეტილება ერთად მივიღოთ, რომელი ჯგუფია პრიორიტეტი და რა დროიდან“, – განაცხადა კაკაურიძემ კომიტეტის სხდომაზე.

ინტერპრესი

ამ საპრობლემო ირგვლივ დღეს ბევრი მითქმა-მოთქმა და ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ითხოვს სრულყოფილი განმარტების ჩატარებას 2008 წლის აგვისტოს 3-დღიანი ომის შესახებ. საინტერესოა, თუ რატომ წავაგეთ ომი 3 დღეში? გარდა ამისა, აუცილებლად უნდა გავფიქროთ იმაზე, თუ რატომ ჩაბრუნდა კოდორის ხეობა ტყვეობის გაუსრულებლად და ვინ იყო დაინტერესებული ხეობის ისტორიული სახელწოდების ზემო აფხაზეთად შეცვლით?

ამ საკითხის ამოწვევამ და გამოძიების ჩატარების აუცილებლობამ ძველი ხელი-სუფლების წარმომადგენლები ძალიან გააღიზიანა. მთავარსარდალი საერთოდ კატეგორიულად გამოიხატა რომ მან ითანამშრომლოს გამოძიებასთან. — „მე არ ვითანამშრომლებ ამ ანტისახელმწიფოებრივ გამოძიებასთან, რომლის საბოლოო მიზანი არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის შეჩვევა და პირდაპირ არის მიმართული ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ“ — აი ეს განცხადება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოსაძიებლად სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების შემდეგ. სამწუხაროდ, ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს არ სურს, რომ საზოგადოების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ სიმართლე.

იმ დროს ეროვნული გვარდიის სენაკის მე-2 ბაზის 213-ე ბატალიონის მეთაურად ვმსახურობდი, როცა ომი დაიწყო. ჩვენი ბაზა რუსეთის ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა და მსხვერპლიც იყო. კოდორის ხეობიდან დამირეკა მაშინდელმა ერთ-ერთი ქვედანაყოფის მეთაურმა და მოსოვა, რომ ხეობიდან გამოსასვლელი გზა მესწავლებლმა სენაკიდან კოდორში ტელეფონის საშუალებით. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იმ ადამიანს, რომლის ვინაობასაც შეგნებულადავ არ ვასახელებ, სპეციალური მომზადება აშშ-ში ჰქონდა გავლილი. ამ დონის მეთაურები იყვნენ იმ დროს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც უბრძოლველად ტოვებდა ტერიტორიას, ვერ გამოდიოდა იმ გზით, საიდანაც შევიდა. იქ მხოლოდ ერთი გზა არსებობს შესასვლელიც და გამოსასვლელიც. მეორე გზა სოხუმის მიმართულადაა და ამჟამად დაკეტილია.

სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გავიგეთ, რომ რუსული კოლონები აფხაზეთის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე შემოვიდნენ ზუგდიდში. ჩემმა მეგობარმა და თანამშრომელმა სოსო გოგუამ დამირეკა და ამის შესახებ გამაფრთხილა, რათა დროზე დაგეტოვებინა სენაკის ბაზა, თორემ რუსები უკვე ზუგდიდიდან სენაკის მიმართულადაა დაიძრნენ. ჩვენც იძულებული გახვდით, რომ სენაკიდან გადაგვეწავლა აბაშის რაიონის სოფელ წყნეში. ჩვენი გასვლიდან დაახლოებით საათ-ნახევარი, ანუ 18 საათისთვის, სენაკის ბაზა უკვე რუსებმა დაიკავეს და დამძალი იარაღი ჩაიდრეს ხელში.

იმ დროს რუსების მეორე დაჯგუფება სვანეთისკენ წავიდა. ფაქტობრივად, მათი სამიზნე კოდორის ხეობა იყო და ჩემი სოფლის — ხაიშის გავლით და შემდეგ ჭუბურით, კოდორის ხეობა ალყაში მოაქციეს. 2008 წლის 12 აგვისტოს ოპერაში მონაწილე და აფხაზი სამხედროების მიერ კარგად დაგეგმილი და განხორციელებული იყო, რასაც ჩვენი მხარე ვერ დაიკვირნის და შედეგად სასწრაფო გავიქცეხ. იმ დროს კოდორის ხეობაში შსს-ს რამდენიმე სპეცდანიშნულების იდგა. ოპერაციის მთავარი აქცენტი რეგულარული საპაერო დარტყმებით ხეობაში განლაგებული ქართული ქვედანაყოფების საბრძოლო სულისკვეთების და ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებაზე გაკეთდა. ამ მიზნით რუსები ხეობას ავიაციით რეგულარულად ბომბავდნენ. გარდა ამისა, ბრძოლაში ჩართული იყვნენ აფხაზური არმიის ნაწილები და ისინი სახმელეთო დარტყმებს ასორციელებდნენ.

ამ დროს, პარალელურად, ქართულ ქვედანაყოფებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ინსახდენად მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის რუსეთის არმიამ დაიკავა და გრძელდებოდა შეტევა თბილისის მიმართულადაა. ჩემი მეგობრის, პოლკოვნიკ ნუგზარ ფანგანის მონათხრობით, 10 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ პირველად სოფელი აჟარა დაბომბა. ამის შემდეგ სხვა სოფლებიც რეგულარულად იბომბებოდა. რუსული სამ-

შვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანის გაფრთხილების შემდეგ, გავრის 15-მა დამკვირვებელმა ხეობა დატოვა. სერგეი ჩაბანი დამკვირვებლებს უთხრა, რომ რუსები აფხაზურ ფორმირებებს ვერ აჩერებდნენ და ამის გამო მათ საშიშროება ემუქრებოდათ. საინტერესოა, ეს დამკვირვებლები საერთოდ რას აკეთებდნენ და ოდესმე თუ მოჰყოლია რაიმე კონკრეტული შედეგი ცხელ წერტილებში მათ ყოფნას? ჩემი აზრით — არც არაფერი.

იმ დროს თბილისში მოკალათებული აფხაზეთის მთავრობა, წესით და რიგით, კოდორის ხეობაში უნდა ყოფილიყო განლაგებული. მოხდა ისე, რომ ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი ბატალიონი დაშალეს და იქ თბილისიდან ჩაიყვანეს სხვადასხვა ქვედანაყოფები, რომლებიც

უმტკიცებლობის გამო გაათავისუფლეს 95%. რატომღაც ისე მოხდა, რომ დამნაშავეების დიდი ნაწილი გაექცათ და ნაწილი თურმე დაასაქმეს ხეობაში შესვლისთანავე. უნდა ითქვას, რომ მაშინ ბევრი კარგი საქმეც გაკეთდა: აშენდა რამდენიმე სკოლა, გზები და ხიდები აიგო. მნიშვნელოვანი იყო ჭუბური-კოდორის გზის ხელახალი გაკეთება, რომელიც ზამთრის პერიოდში იკეტებოდა, 5-6 თვე ხეობა მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს.

კოდორის ხეობა სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონი იყო და აქილნი გამოდინარე სამხედრო თვალსაზრისით მის დასაცავად ყველაფერი წვრილმანებამდე გათვლილი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ. იმასაც ამბობენ, რომ თითქოს კოდორის ხეობიდან

მოქმედების განსახორციელებლად ხელფხი ჰქონდათ შეკრული.

იყო შეიარაღებული წინააღმდეგობის უმნიშვნელო, უშედეგო მცდელობა. დროულად ვერ მოხერხდა, რომ სახენიტო რაკეტები საქართველოში გადართობოდა. მთავარამ მებრძოლების გამოცდილებისა და ცოდნის შედეგად სახენიტო ცეცხლით რუსული რამდენიმე საფრენი აპარატის მძიმედ დაზიანება მაინც მოხერხდა. სამწუხაროდ, რუსული ავიაცია ჰაერში ისე გაბატონდა, რომ დარტყმებს სრულიად თავისუფლად ასორციელებდა. ხეობაში მყოფი მებრძოლები უმძიმეს მდგომარეობაში ჩაეცივნენ. თავდაცვისთვის საჭირო ღონისძიება თავის დროზე უნდა გატარებულიყო. ხეობაში დარჩენილი მშვიდობიანი მოსახლეობა დაუცველი აღმოჩნდა. ხალხის გადარჩენის ერთადერთი გზა დანებება აღმოჩნდა, რაც მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ივანე მერაბიშვილის პირადი ბრძანების შემდეგ შესრულდა.

2008 წლის 12 აგვისტოს კოდორის ხეობა აფხაზეთმა დაიკავეს. ისინი სოფელ აჟარაში წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ და გამარჯვების ნიშნად აფხაზური დროშა აღმართეს. ქართველებმა შეიარაღების ნაწილი გაანადგურეს, მაგრამ მოწინააღმდეგესაც ძალიან ბევრი დარჩა. მიხეილ სააკაშვილის ახირების შედეგად შერქმეული „ზემო აფხაზეთი“, სინამდვილეში კი კოდორის ხეობა, ანუ აფხაზეთის სვანეთი მტრის სათარეშო გახდა!

არსებობს ინფორმაცია, რომ შეიარაღების ნაწილი კოდორის ხეობის რუსებისა და აფხაზების ხელში გადასვლამდე ქართველი მებრძოლების მიერ განადგურდა, მაგრამ მოწინააღმდეგის გასახარად, მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობის იარაღი დარჩა. რუსული არსებების გადმოცემით, კოდორის ხეობაში აფხაზებს ქართული ქვედანაყოფების უამრავი იარაღი, საჭურველი და ცეცხლსასროლი იარაღი მსუბუქად დაჯავშნული მტლბ ტიპის 4 გამწე, 122 მმ-იანი და 30 ტიპის 8 ჰაუბიცა 23 მმ-იანი ზუ 23-2 ტიპის 4 სახენიტო ავტომატი, 57 მმ-იანი რ-60 ტიპის 1 სახენიტო ქვემეხი, 160 მმ-იანი ლარ-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის 1 დანადგარი, ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცვის 1500 მუხტი, 82 მმ-იანი ნაღმსარტყორცვის 600 ნაღმი, დაახლოებით 350 რ-8 ტიპის უმართავი რაკეტული ჭურვი და სხვადასხვა სახის იარაღისთვის განკუთვნილი დიდი რაოდენობის ტყვია-წამალი. ამ ნადავლს რუსები და აფხაზები რამდენიმე დღე ეზიდებოდნენ.

კოდორის ხეობაში თავდაცვითი ზღუდეები ისე მაღალ დონეზე იყო მოწყობილი, რომ აფხაზთა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ანატოლი ზაიცევიც გაოგნებული იყო. მისივე შეფასებით, კოდორის ზემო ნაწილი ნამდვილ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. თავშესაფრები, ბლინდაჟები და სადამკვირებლო პუნქტები მაღალი დონის საინჟინერო ცოდნით იყო მოწყობილი.

სეპარატისტებს ხეობაში აფხაზეთის მხრიდან მიმავალი გზა და ერთადერთი ხიდი აფრთხობდათ, რომლის გადამყურე კლდე დანაღმული იყო, მაგრამ მისი აფეთქება რატომღაც არ მოხერხდა. ასეთი დაცულ-გამაგრებული რაიონის აღებას მინიმუმ თვენახევარი დასჭირდებოდა. მოხდა ისე, რომ ასეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია ქართულმა მხარემ წინააღმდეგობის გაუწევლად დათმო.

გაიზარ გელოვანი

# რატომ დაჰკარგეთ კოდორის ხეობა?



მტერმა იქიდან ისე გამოაძევა, რომ ზოგიერთი გამოსასვლელსაც ვერ აგნებდა. არადა, უნდა შეექმნათ ადგილობრივებისგან ერთი ბატალიონი და ეს ბატალიონი უნდა დაეკომპლექტებინათ გამოცდილი მეთორბედი. ის ხალხი (მოხალისეთა ბატალიონი „მონადირე“), რომელიც განაიარაღეს და უნდა მოხელდა გამოუცხადეს, წლებების განმავლობაში მედგრადა იცავდა კოდორის ხეობას. ამ უნდა მოხელდა და ხელისუფლების მხრიდან ზერელე, არაპროფესიონალურმა მიდგომამ დაგვარკვინა ასეთი სტრატეგიული ადგილი.

500 კაცისგან შემდგარი ბატალიონი, რომელიც გაივლიდა შესაბამის წვრთნას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი იქაური მცხოვრები იქნა გამოცდილი იყო და თუ მიინცდებოდნენ საჭიროდ ჩათვლიდნენ, მეთაურად ან მოადგილედ დანიშნულიყო თბილისიდან ვინმე. მაგრამ რაღაცნაირად იმ დროს ინფორმაციები ვრცელდებოდა, რომ იქაურ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი იყო კრიმინალი და უნდა მომხდარიყო მათი განეიტრალება. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი უსაფუძვლოდ გავრცელდა. ხეობაში სპეცოპერაციისგან რომ ჩაატარეს, მაშინ დააკავეს მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვადასხვა ბრალდებით და მერე მათი ფაქტების და-

უბრძოლველად გამოსვლა ქართულ ქვედანაყოფებს იმიტომ უბრძანეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსები თბილისის დაბომბვით იმუქრებოდნენ. მაშინ ჩნდება კითხვა — რისთვის შეიყვანეს ამდენი ქვედანაყოფი, თუ ხეობას მტრისგან არ დაიცავდნენ? რატომ შეზიდეს ამდენი იარაღი და ტყვია-წამალი იქ და მერე იძულებული გახდნენ, რომ ნაწილი გაენადგურებინათ და ნაწილი კი მტრის ხელში გადავიდა.

ადგილობრივები ყვებიან, რომ რიგითი მებრძოლები და საშუალო რგოლის მეთაურები სიმწრისგან ტიროდნენ და ისე გამოდიოდნენ. მათ არ უნდოდათ ხეობის უბრძოლველად დატოვება. ისინი ნამდვილი პატირობები და პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ ზედა ეშელონის ხელმძღვანელობა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ისინი დაბნეულები იყვნენ და არ იცოდნენ, რა მოემუქმებდნინათ იმ დღეს. ბრძანების გაცემის საბაზის იყო საფუძვით აბსურდული, რადგან თბილისი მაინც იბომბებოდა. გარდა ამისა, მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა არ იყო შემუშავებული მიუხედავად იმისა, რომ იქ მყოფი სამხედროების დიდი ნაწილი გამოცდილი სამხედრო საქმის პროფესიონალები იყვნენ. მათ ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი

## ალიან-ჩალიანი

### რადარი, რომელიც ბუნებრივი კატასტროფებისგან გვიხსნის

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შესამცირებლად გარემოს დაცვის სამინისტრო მომავალი წლისთვის რადარს შეიძენს, — ამის შესახებ საგაეროფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა. მინისტრმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების საკითხთან დაკავშირებით თუ რას გეგმავს სამინისტრო. აგულაშვილის თქმით, ამ მიზნით მოლაპარაკებები აქვთ და კონტრაქტს აფორმებენ მომავალ წელს რადარის შესაქენად. როგორც მინისტრმა აღნიშნა, დღემდე პროგნოზირებისათვის რადარი არ გააჩნდათ და იყენებდნენ სხვადასხვა რესურსებსა და საშუალებებს. „რადარი არ არის პანაცეა, ის ყველა კითხვაზე პასუხს არ ცემს,

მაგრამ, რაც მთავარია, ჩვენ გვინდა ავანყოთ ერთიანი სისტემა, ერთიანი მოდელი წინმსწრები შეტყობინების. ამისთვის ვერეს ხეობაში უკვე ნაწილი წყლის დონის მზომები და ნალექმზომები დავამონტაჟეთ, მაგრამ კიდევ მიდის ეს პროცესი. ახლა მერაბი შეიძინა კიდევ მსგავსი აპარატურა, რომელიც გადმოგვეცემა ჩვენ და ასევე გაგვარქმევს წინასწარი შეტყობინების მონიტორინგის პროცესს“, — აღნიშნა გარემოს დაცვის მინისტრმა. გიგლა აგულაშვილის თქმით, სახელმწიფოს თანხებით, ასევე უცხოელი დონორების ფონანსური დახმარებით მსგავსი ტიპის ინსტალაციები ძალიან ბევრ ობიექტზე მიმდინარეობს. მინისტრის თქმით, იგივე დეველორაქვეც წინასწარი შეტყობინების სისტემა დამონტაჟდება.

ინტერპრესი

ალიან-ჩალიანი

რას უფრო გელოვანობს: ანზორ კოქოლაძის მიერ განაცხადებულ განცხადებაშია ალბათ უფრო მეტი სიმართლე, თუ ანზორ კოქოლაძის მიერ განაცხადებულ განცხადებაშია ალბათ უფრო მეტი სიმართლე?



ამის შესახებ ანზორ კოქოლაძის მიერ განაცხადებულ განცხადებაშია ალბათ უფრო მეტი სიმართლე, თუ ანზორ კოქოლაძის მიერ განაცხადებულ განცხადებაშია ალბათ უფრო მეტი სიმართლე?

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ახალ დეპარტამენტში იმ პირობა დაკითხვები დაიწყო, ვინც „ელიტ ველეტრონიკის“ კანონიერ მესაკუთრეზე წართმევის პროცესში მონაწილეობდა.

ანზორ კოქოლაძის განცხადებით, ძველი ხელისუფლების პირობებში „თიბისი“ ბანკის ხელმძღვანელობამ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მალაქინოსებისა და დავით კეზერაშვილის მონაწილეობით, სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერით, უკანონოდ, 116 358 ლარად დაი-საკუთრა 80 მილიონად შეფასებული „ელიტ ველეტრონიკის“ და შემდეგ სიმბოლურ ფასად გადაუფორმა დავით კეზერაშვილის კომპანიებს, რომელიც ჯერ კიდევ მათ მმართველობაშია.

„2010 წლიდან დღემდე როგორც ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებში, ასევე სტრასბურგში მიმდინარეობს სამართლებრივი პროცესები. „ელიტ ველეტრონიკის“ უკანონო მითვისებასთან დაკავშირებით. რაც უფრო დაქარაღვინა დაწყებული პროცესები და მალე დაბრუნდება წართმეული ბიზნესები, მით უფრო მალე გამოვარდება ლარი, რადგან საქართველოდან 2012 წლის შემდეგ ყოველწლიურად 1,2-1,3 მილიარდი დოლარი გადის, აქედან 70% სწორედ იმ წართმეული ბიზნესებიდან, რომელთაც დღესაც ოფშორებს ამოფარებული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ყოფილი მალაქინოსები ფლობენ. ისინი ცდილობენ, სახამ მოხდეს სამართლიანობის აღდგენა, მოასწრონ, ამოიღონ ბიზნესებიდან რაც შეიძლება მეტი, გაიტანონ საქართველოდან და გაათეთრონ, რაც გა-რაქტერულია იმ წართმეული ლარის გაუფასურების ყველაზე მთავარი გამოწვევა მიზეზია. ამიტომ, რაც უფრო დაქარაღვინა დაწყებული გამოძიება, დროულად მოხდება წართმეული ბიზნესების რეალურ მესაკუთრეებზე დაბრუნება, მით უფრო მალე აისახება საქართველოს ეკონომიკაზე და მით მალე გამყარდება ლარი,“ – აცხადებს ანზორ კოქოლაძე.

29 პირი და „ნენსკრას“ პსი

„ნენსკრას პსი-სის“ მშენებლობის პრობლემა არ იქნება, თუ 29 პირობა შესრულდება, – ამის შესახებ საგამოყენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა განაცხადა.



მინისტრმა კომენტარი გააკეთა „ნენსკრა პსის“ მშენებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამინისტროს დადებითი დასკვნა პირობითია. მისივე განცხადებით, მასში მითითებულია 29 პირობა. მინისტრი აცხადებს, რომ დასკვნის მოზადებაში ჩართული იყო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ექსპერტები.

„თუ მშენებელი რომელიმე ჩვენს შენიშვნას არ გაიზიარებს, ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენ მათთან დისკუსია გვექონდეს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, როგორც ინფორმაცია გვაქვს, იმ კომუნიკაციიდან, რომელიც უცხოელ პარტნიორებთან, ასევე ქართველ პარტნიორებთან გვექონდა, (საპარტნიორო ფონდი ასევე არის მონაწილე ამ პროექტის) ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ პირობებს შესაძლებელია, – აღნიშნა მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა.

ინტერპრესი

მორიბი სკანდალი საქართველოში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სასამართლო-სამართლებრივიც აღმოჩნდა. რა მოხდა? ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია წინასწარ პატიმრობაში თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას 15-თვიანი ყოფნა, ვინაიდან ეს ვადა კანონის მიხედვით ცხრა თვეს არ უნდა გადაცილებულიყო. სამწუხაროდ, მართლმართლის ადგილობრივმა დამცველებმა, ეტყობა, გადანაცვლეს, რომ უფლება აქვთ, „მიუზღონ“ ქალაქის გადაყენებულ უფროსს წინასწარი პატიმრობა მისთვის ინიცირებული თითოეული ბრალდებისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ უგულავას უამრავი ბრალდება წაუყენეს, გამოდიოდა, რომ შეიძლებოდა საერთოდ არ გამოეტანათ მისთვის საბოლოო განაჩენი, არამედ ჰყოლებოდათ იგი წინასწარ პატიმრობაში უსასრულოდ დიდხანს და ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად გამართლებული. ამავე დროს იგი გახდა ძლიერი სილის განვსა ადგილობრივი პროკურატურისათვის, რომელმაც 15 თვის განმავლობაში ვერ შეძლო წარედგინა სასამართლოსთვის ბრალდებულის ბრალეულობის დადასტურება, რაც საშუალებას მისცემდა, ჩაესვით იგი გისოსებს მიღმა სრულიად კანონიერ საფუძველზე. სხვათა შორის, ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ მას ეს, უბრალოდ, არ უნდოდა.

ერთი სიტყვით, იქმნებოდა პარადოქსული სურათი. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ უგულავა მისთვის წაყენებულ ბრალდებათა ბევრი პუნქტით უსათუოდ დამნაშავე იყო. მაგრამ, როგორც შემდგომში მოვლენებმა გვიჩვენა, საგამოძიებო ორგანოთა ე.წ. „უძღურება“ მხოლოდ მოჩვენება აღმოჩნდა. როგორც კი ეს დასჭირდათ, მათ შეძლეს, წარედგინათ სასამართლოსთვის საჭირო დადასტურებანი და მიიჩნიათ უგულავა გისოსებს მიღმა. ის, რომ ამის გაკეთებას ვერ ახერხებდნენ 15 თვის განმავლობაში, გაკეთდა ერთ დღეში. სასწაულია რაღაც! მაგრამ ამის შესახებ ვისაუბროთ უფრო გვიან.

საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტმა ქვეყანაში საზოგადოების ერთ ნაწილში გამაბრუებელი ოვაციები გამოიწვია, და დამაყრუებელი სტვენა და წასისინება – მეორეში. ზოგმა მას ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების აშკარა გამოხატვა უწოდა, ზოგმა კი – ლამის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. ვფიქრობ, რომ თავიანთ დასკვნებში არც ერთი მხარე არ ცდებოდა. თავად განსაჯეთ: თუ ისეთი მაღალი ინსტანცია, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლო, გამოდის პატიმრის სამოქალაქო უფლებების დამცველად, თუნდაც ისეთი ოლიგოპოლიტიკური სა, როგორიცაა ყოფილი მერია, ეს, რასაკვირველია, დემოკრატიის ნიშანია. მეორე მხრივ, კონსტიტუციონალისტთა გადაწყვეტილება ვიღაცამ აღიქვა, როგორც მმართველი „ქართული ოცნების“ კოალიციის პოლიტიკური პოზიციებისადმი დარტყმა. საკმარისია ციტირება მოვიყვანოთ საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სიტყვები, რომელმაც ქართული კონსტიტუციის მთავარი დამცველების ვერდიქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ესაა „რუსი ოლიგარქის ივანიშვილის რეჟიმის დასასრულის დასაწყისი“. მისი მომხრეები საქართველოში უგულავას დიდ უნდობებს „მის სისხლს მონყურებული ხელისუფლების უდანაშაულო მძევალს“.

„უგულავა არის ანტიკონსტიტუციური პატიმრობაში, მაშასადამე, ის უდანაშაულო პატიმარია“, – აცხადებს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ლიდერი დავით ბაქრაძე. „გიგი უგულავა პოლიტიკური“, – უაპელაციოდ ამტკიცებს საქართველოს რეფორმების ასოციაციის შეფი ელენე ხოშტარია. ყოფილი მერის თანაპრიტვიტის პოზიცია არ უნდა იწვევდეს გაკვირვებას: როდესაც აურზაურს ტყვენ უგულავასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო, ისინი ცდილობენ, დაადასტურონ, რომ დღევანდელ მმართველებს არაფრად მიაჩნიათ კანონები, მათ შორის ქვეყნის ძირითადი კანონი. მათი ცისფერი ოცნებაა – მოსახლეობის თვალში მოახდინონ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილის მთავრობის კომპრომეტირება. ამისთვის კი ყველა საშუალება კარგია. მათთან უნისონში მოქმედებენ „ქართული ოცნების“ ყოფილი მო-



ორი ბანაჩენი ერთი ბრალდებულისთვის

და იყო ხანმოკლე მუსიკის ხმები...



კავშირები, ახლა კი მისგან გამოსული პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები, რომელთა ლიდერმაც დღევანდელ მმართველ გუნდს „არაკომპეტენტური და უუნარო“ უწოდა, თანაც თავისთვის ერთობ საღამოდავი შინაარსით – „უდანაშაულო მოქალაქე უკანონო პატიმრობაში“. მეტიად მიმე იყო, გენახა ის, რაც უგულავას გარშემო ხდებოდა, – გაოგნებით ლაპარაკობდა ირაკლი ალასანიას ბრიფინგზე ჟურნალისტებისთვის. სხვათა შორის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის პირფერობა უმაღლესი შენიშნა ზოგიერთმა პოლიტიკურმა ექსპერტმა, რომლებმაც შეასწავს მას, თავად იგი ამ ცოტა ხნის წინათ რა მკვახედ საუბრობდა უგულავას და მისი სტილის შესახებ, რა დანაშაულებში სდებდა მას ბრალს.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ვინაა არიან მოსამართლეები, საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის წევრები, რომლებმაც ასეთი თამამი ვერდიქტი გამოიტანეს და რამაც ქართველი საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია? ესენია სასამართლო კოლეგიის რვა წევრი მის თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მეთაურობით, რომელიც ამ თანამდებობაზე მუშაობს ჯერ კიდევ სააკაშვილის დროიდან.

რატომა ხელმონერა რვა და არა ცხრა, როგორც უნდა ყოფილიყო, თუ გავიხსენებთ საკონსტიტუციო სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას? აქ ისტორია საერთოდ სასაცილოა, მეტი რომ არ ვთქვათ. სასამართლოს კოლეგიის მცხრე წევრი მერაბ ტურავა, რომელმაც, ეტყობა, არ ისურვა, ხელი მოეწერა შემადგენელი ოქმისთვის, მხატვრულად რომ ვთქვათ, გაიქცა ბრძოლის ველიდან. ერთი სიტყვით, გაურკვეველი იყო, სად გაიქცა, შემდეგ კი აღმოჩნდა, თურმე, ავად იყო და ამის გამო ოქმს ხელი არ მოანერა. სხვათა შორის, საზოგადოების აღშფოთების ძლიერი ჭეჭქუხილი თავს დაატყდა არა მას და არა საკონსტიტუციო კოლეგიის სხვა წევრებს, არამედ სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს. აქ კი მას ყველაფერი გაუხსენეს: ისიც, რომ ის სააკაშვილის მიერ

იყო დანაშაულებული, ისიც, რომ ბათუმში ცხოვრობს, თანაც, თურმე, არა საკუთარ სახლში. ადგილობრივ გაზეთებში განდა ინტერვიუ ვიღაც ყოფილ ბლადაძესთან, სარფის საბაჟოს ყოფილ თანამშრომელთან. მასში მოთხრობლია იმის შესახებ, რომ სააკაშვილის დროს, ე.წ. „რეკლამის“ შემდეგ, მას ბათუმში სახლს ართმევდნენ. ეს ისტორია ხანგრძლივია და უბადრუკი. თავდაპირველად სააკაშვილის ხალხი მოითხოვდა, რომ ბლადაძე გამოსულიყო ტელევიზიით აჭარის ყოფილი მმართველის ასლან აბაშიძის კრიტიკით, შემდეგ, როდესაც მან ამ წინადადებაზე უარი განაცხადა და იძულებული გახდა, ქვეყნიდან გაქცეულიყო, მის ოჯახს მიადგინ, მოითხოვდნენ ფულს. შემდეგ გაუგზავნეს ნილბიანი ადამიანები და პირდაპირ გამოყარეს სახლიდან ბლადაძის ცოლი და სამი ბავშვი, რომლებიც იძულებული იყვნენ დამალულიყვნენ ხან ერთ ნათესავთან, ხან მეორესთან. უკვე მაშინ მებაჟის ოჯახისთვის ცნობილი იყო – მათ სახლში ჩასახლებოდა გიორგი პაპუაშვილი, რომელიც სააკაშვილის მხარე უბოძა. ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს შეფი ამტკიცებს, რომ სახლის წართმევის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ ეს სიმართლე არაა. ბლადაძე ამბობს, რომ არაერთგვის წერდა ბატონ სააკაშვილს, აუზავინდა მასთან თავის ახლობლებს. თუმცა უშედეგოდ. „ერთხელ, – იხსენებს ბლადაძე, – დახმარებისთვის მივმართე ტელეარხ „იმედის“ ჟურნალისტებს, საინფორმაციო სამსახურის მაშინდელ ხელმძღვანელ გიორგი თარგამაძეს. ის დამპირდა დახმარებას, თუმცა შემდეგ უარი თქვა, ვინაიდან არ სურდა, ეწვენიებინა თავის კოლეგა პაპუაშვილის ცოლია“. ახლა ბლადაძემ ვი-ვიდა ხმები, რომ პაპუაშვილის ოჯახი ცდილობს, გაყიდოს სახლი, რათა სხვისი ქონებიდან მიიღოს რაღაც თანხა. აი, ასეთია ისტორია, რომელიც სავესებით შეესაბამება სააკაშვილისდროინდელ ხელისუფლებას...

ახლა, როდესაც იხსენებს ამ კონფლიქტის პერიპეტებს, ზოგიერთი ჟურნალისტი ცდი-

რეიტინგები

ნარკოტიკების ინფორმაცია

ლობს, ჩრდილი მიაყენოს გიორგი პაპუაშვილის მთელ ბიოგრაფიას. მაგრამ ამ ფაქტს არანაირი ურთიერთობა არა აქვს უგულავას საქმესთან დაკავშირებულ გადანაცვლებასთან, რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

როგორც არ უნდა იყოს პაპუაშვილის ბიოგრაფია, ამჟამინდელი ვერდიქტი სხვა ისტორიაა. და როგორც ვხედავთ, მხოლოდ პაპუაშვილს, არ გამოუტანია იგი. „არაფერ არაბუნებრივს არ ვხედავ იმაში, რომ ადამიანი, რომელსაც რაღაცაში სდებენ ბრალს, მაგრამ ბრალდების დადასტურება არ შეუძლიათ, უნდა გაათავისუფლონ. პრობლემა ისაა რამეში ვხედავ. დარწმუნებული ვარ, საგამომიებო ორგანოებს უგულავას ბრალდების დადასტურება შეეძლოთ, მაგრამ არ მოინდომეს“, — დაწერა სოციალურ ქსელში ქეთი აბულაძემ, გააფრთხილა თავისი მკითხველები იმის შესახებ, რომ არაა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე, არ აღიქვამს საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტს, როგორც მოქმედი ხელისუფლების გამომწვევას, საბაზის ასე ფიქრისთვის, მისი აზრით, საერთოდ არაა: თუ ადამიანი ჰყავთ წინასწარი პატიმრობის საკანში დაწესებულ ვადაზე დიდხანს, ამით ისინი უხედავად არღვევენ მის მოქალაქეობრივ უფლებას. იმისდა მიუხედავად, სარგებლობს თუ არა აღნიშნული პირი საზოგადოების უტყუარი სიმპათიით. ეს დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია! და არ შეიძლება, არ დაეთანხმოს პოზიციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგიმ მარგველაშვილმა დაიკავა: „სახელმწიფოს მთავარი ნიშანდანი მსუფთაობაა ადამიანის უფლებათა დაცვა. სამართალდაცვის მიზანი კი — ამ უფლებათა უზრუნველყოფა. აი რატომ არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო შესასრულებლად. შესაბამისად, იგი დაუყოვნებლივ უნდა იყოს რეალიზებული საერთო სასამართლოების მიერ...“

მაგრამ ამის გაკეთება, როგორც გამოიკვება, არც ისე მარტივია. საქართველოს საზოგადოებრიობის მნიშვნელოვან ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოს ვერდიქტმა განხილვა გამოიწვია. სოციალური ქსელი ლამის აფეთქდა ნეგატიური შთაბეჭდილებებით. „მართლმსაჯულება აღსდგა, სამართლიანობა კი — არა“, — ჩიოდა კონსტიტუციონალისტების გადანაცვლებების გამო ლერი ბახუტაშვილი. 2009 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციის მონაწილე ბესო დანელია იხსენებს, თუ ერთხელ ლამის შენობასთან, სადაც მაშინ აქციები იმართებოდა, როგორ მივიდა ავტომანქანა თბილისის მერიის ლოგოტიპით. იქიდან რამდენიმე ათეული მეტროძოლის შესახედაობის მამაკაცი გადმოხტა. მათ დააძვრეს ხელკეტები და თავს დაესხნენ ლამით დარჩენილ პროტესტის მონაწილეებს, დაიწყეს მათი ცემა. და აზიანეს ტრიუნა, და ამსხვრიეს დინამიტები და მიკროფონი. ერთერთმა თავდამსხმელმა სახეში ჩაარტყა ქალს — თბილისის საკრებულოს ამჟამინდელ დეპუტატ ნათელა მაჭავარიანს. ნასვლისას ისინი იცინოდნენ. „ეს გიგი უგულავა გითვლით საღამს!“. პოეტ რეზო ამაშუკელის ქალიშვილი ბაია ამაშუკელი უგულავას „პროიდოხას“ უწოდებს, რომელმაც, ქალაქის ხელმძღვანელად ყოფნის დროს, ერთხელ შეკრიბა ხალხი მერიის რაღაც თათბირზე და გააოცა ისინი სენსაციური ახალი ამბით: თურმე, მისთვის, როგორც ყოფილი მღვდელმსახურისთვის, დამატებით ცნობილია, რომ... იერუსალიმის ტაძარში აღდგომის წინ წმინდა ცეცხლი არ ინთება, როგორც, რატომღაც, ქრისტიანები ფიქრობენ, ვინაიდან ყველა ეს „იგავარაკი“ წმინდა ცეცხლის შესახებ მღვდლებს მოგონილია. „გავიგე გიგი უგულავას გათავისუფლების შესახებ და დაწინარება აღარ შემიძლია, ცრემლები დაბა-ღუბით მომდის, დავტირი იმ ადამიანებს, ვინც სააკაშვილის, უგულავას და მათი დამტყულების მიერ დაიღუპნენ: ირინა ენუქიძეს, სანდრო გირგვლიანსა და ბერ სხვას“, — წერს სოციალურ

ქსელში ნინო პეტრიაშვილი. „პრობლემა ის კი არაა, რომ ვიდაც მოქალაქე უგულავას გვართ გაათავისუფლეს, არამედ ის, რომ მართლმსაჯულება აღმოჩნდა არა ჩვენს მხარეზე, არამედ იმათ მხარეზე, ვისი მიზნითაც ქართველი ხალხი ათი ხანგრძლივი წლის განმავლობაში მწარე ცრემლს ღვრიდა“, — განაცხადა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურმა მდივანმა ირმა ინაშვილმა.

რით დამთავრდა ეს ისტორია? როგორც გაიკვება, პროკურატურას მაინც ჰქონდა გიგი უგულავას ბრალდების დადასტურება, რის შესახებაც იგი დიდი ხნის განმავლობაში დუმდა. ამრიგად, როგორც ერთ სიმღერაშია, „და იყო ხანმოკლე მუსიკის ხმები, ფრაერები განა დიდი ხნით ცეკვაგადა...“ და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებში შესაბამისად წინა დღით გათავისუფლებულმა გიგი უგულავამ მეორე დღეს კვლავ დაიკავა თავისი ადგილი ციხის კამერაში. და ამჯერადაც სასტიკი კანონიერ საფუძველზე — თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად და ხუთი მილიონი ლარის გაფლანგვის ბრალდებით, დადასტურებულ სრული პაკეტით. საკითხი შეეხება მაქინაციების ერთბაშად ორ საქმეს — „თბილისერვისში“ ბოროტმოქმედების შესახებ და რიყის მოედნის — თბილისის ცენტრში ერთ-ერთი მოედნის — უკანონო გასხვიების შესახებ. განაჩენი — თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით. სხვათა შორის, ამნისტიის გათვალისწინებით, ყოფილ მერს ციხეში ყოფნა მოუწევს „მხოლოდ“ ოთხი წელი და ექვსი თვე. მას არ შეეძლება აგრეთვე გათავისუფლების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა.

თავად უგულავა პროცესს არ ესწრებოდა, განაჩენის შესახებ ურნაღისტიებისგან გაიგო. ის ამ განაჩენს იუმორით უხედავ: „რამდენი ხნით, ამბობთ თქვენ, მომიწევს გისიხსნება მიღმა ყოფნა? ოთხ-ნახევარი წელიწადი? თქვენ გჯერათ, რომ ივანიშვილი გაძლებს ამდენ ხანს საქართველოს ხელმძღვანელობაში?“

რა უნდა თქვა, ამ დღეებში მოვლენები საქართველოში კალენდრისკოპური სიჩქარით იცვლება. ჯერ კიდევ გუშინ, როდესაც თავისი თანამოაზრეების მისალმებით შეძახილებით ტოვებდა ციხის იზოლაციას, გაგაფრთხილა, რომ დევნა მის წინააღმდეგ გაგრძელდება და ის შეიძლება კვლავ დააპატიმრონ. გამოდის, თითქოს წინასწარ იცოდო. მაგრამ... „დიას, ის გამოვდა ციხიდან, მიმოიხედავს, მაგრამ მალე დაბრუნდება თავის ადგილზე — იქ, სადაც უნდა იყოს“, — უკვე მაშინ იწინასწარმეტყვევდა ლალი აფციაურმა, როდესაც შეგვახსენა უგულავას მონაწილეობის შესახებ ოპოზიციის აქციის დარბევაში 2009 წლის ნოემბერში, მთაწმინდაზე ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი პარკის მითვისების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის „მიტაცების“, ტელეარხ „იმედში“ შეჭრის შესახებ... „იმაში, რომ უგულავა ქურდობაცხადს, თავად მასაც არ ეპარება ეჭვი. შემთხვევითი როდი იყო, რომ, როდესაც წინა დღით ტოვებდა თავის კამერას იზოლაციაში, მან განაცხადა, რომ მალე იქ დაბრუნდება“, — ირონიით ამბობს კინორეჟისორი გოგა ხაინდრავე.

და კიდევ ერთი ციტატა. იგი საქართველოში საზოგადოებრიობასთან კავშირურთიერთობის ცნობილ სპეციალისტ არჩილ გამზარდიას ეუთვნის: „თუ საპროტესტო შეხვედრები, რომ პატივისცემით უნდა მოვიპოოთ სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროში, მაშინ მხოლოდ, პატივისცემით მოვიპოოთ რეზონანსი მის პირველ გადაწყვეტილებას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას — უგულავას გათავისუფლების შესახებ, ისე შეიმართება, რომ დაეხმოს მის განაჩენს“. რა, გვეთქმის რამე ამის წინააღმდეგ?

კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილება — უგულავას გათავისუფლების შესახებ, ისე შეიმართება, რომ დაეხმოს მის განაჩენს“. რა, გვეთქმის რამე ამის წინააღმდეგ?

ვალიშ ანასტასიანი



თქმე არ უნდა: თავისთავად რომელიმე სარეიტინგო შეფასებაში მაღალი ადგილის დაკავება, ან, ვთქვათ, თუნდაც რამდენიმე საფეხური წინ წინააღმდეგ, დადებით ემოციებს იწვევს, თუმცა კი მისგან რაიმე „ხელშესახები“ შედეგის უცხად მიღება საკმაოდ პრობლემურია. ერთი კია, რომ პოტენციური ინვესტირები გარკვეული სოლიდური კომპანიების მიერ ჩატარებულ კვლევებს საკმაოდ სერიოზულ არგუმენტად აღიქვამენ, რაც ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ მათი ნდობის ხარისხზე პოზიტიურად აისახება.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მეტად სასიხარულოა ის გარემოება, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებულ ანგარიშში „ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოში 2015“, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების მსოფლიო ქსელმა გამოაქვეყნა, საქართველო ამ თვალსაზრისით მონაწილეთა მთლიან რაოდენობაში — 157 ქვეყანას შორის მას მე-11 ადგილი აქვს მიანიჭებული. წინა რეიტინგის მიხედვით კი ჩვენ მე-16 პოზიციაზე ვიმყოფებოდით. რეიტინგის დასახელებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ყოველწლიური კვლევა მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური თავისუფლების დონის შეფასებაზეა მიმართული, რომელიც ხუთ ძირითად კრიტერიუმს ითვალისწინებს. ესენია, კერძოდ, მთავრობის სიდიდე (რომელიც სამთავრობო ხარჯის მოცულობას ასახავს); საკუთრების უფლების დაცულობა და სასამართლოს დამოუკიდებლობის დონე; ფულადი პოლიტიკის სიჯანსაღე; საგარეო ვაჭრობის თავისუფლება, ასევე კრედიტების, დასაქმებისა და ბიზნესის რეგულაციები. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ხუთი მთავარი კრიტერიუმის შინაარსი შემდგომ 40-ზე მეტ ქვეპუნქტშია გაშლილი და სწორედ მათ მიხედვით განისაზღვრება ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ამა თუ იმ ქვეყანაში.

მეორე სარეიტინგო ანგარიშს, რომელიც „ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის“ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა, „ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა 2015“ ეწოდება. ეს გარემოება ერთობ საგულწიხაროა იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის პარლამენტმა მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა ეს-ესაა დაიწყო.

მსოფლიოს 102 ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტებზე დაკვირვების შედეგად, ბოლო წლებთან შედარებით, საქართველოს შედეგი საგრძობლად გაუმჯობესებულია: თუ 2012 წელს 33-ე ადგილი გვკავდა მიჩენილი, წლეულს მე-16 ადგილზე გადავიწვევით. განსაკუთრებით მისასალმებელია ის გარემოება, რომ ამ მაჩვენებლით სამხრეთ კავკასიაში პირველები ვართ, ამასთან, აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანასაც ვუსწრებთ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, ღია ბიუჯეტის ინდექსი საშუალოდ საზოგადოების დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მონოღებულ ინფორმაციის საფუძველზე, 2-3 წელიწადში ერთხელ დგინდება. როგორც თავად ანგარიშის დასათაურებიდან ჩანს, იგი ქვეყნის მთავრობის მიერ საჯარო სახსრების მართვას, ბიუჯეტის გამჭვირვალობას, საბიუჯეტო პროცესებში ჩართულობასა და ბიუჯეტის მართვაზე ზე-

დამხედველობის მდგომარეობას ასახავს. საერთაშორისო ორგანიზაციების სარეიტინგო თემა სააგენტო „ფიტრ რეიტინგის“ მიერ გამოქვეყნებული რანგის ტაბელით გვინდა განვავსოთ, რომელმაც, საქართველოს საპარტნიორო ფონდის მიერ გაცემული პრესრელიზის თანახმად, მის როგორც გრძელვადიან და მოკლევადიან სავალუტო რესურსის რეიტინგს იკვე BB, მოკლევადიან B, ხოლო პროგნოზს „სტაბილური“ ინდექსები მიენიჭა, რაც სახელმწიფო სუვერენულ რეიტინგის ტოლფასია.

აქვე შეგახსენებთ იმ საყურადღებო გარემოებას, რომ საქართველოს საპარტნიორო ფონდი მთლიანად სახელმწიფო კუთვნილებაშია. იგი თავის მხრივ არის კომპანიების „საქართველოს რეიტინგის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა“ და ნაწილობრივ „თელასის“ მფლობელი, რასაც ასევე „ფიტრის“ სპეციალისტებიც აღნიშნავენ.

უნდა ითქვას, რომ წლევედელი სარეიტინგო მაჩვენებლების განხილვისას, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „ფიტრის“ ექსპერტებმა საქართველოს საპარტნიორო ფონდის მიერ გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტის წარმატებით დასრულება, რამდენიმე პროექტიდან დროული გამოსვლა და, როგორც შედეგი, გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლები გაითვალისწინეს. სააგენტოში ასევე მიაჩნიათ, რომ საქართველოს მთავრობა კვლავაც განაგრძობს დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგადად განხორციელებას, რომელთა ფრთხილად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეს, პირველ ყოვლისა, საქართველოში სოლიდური ინვესტიციების მოზიდვას გამოიხატება, უწინარესად, ენერგეტიკის სფეროში. საზგასმით აღნიშნულია აგრეთვე საპარტნიორო ფონდის განსაკუთრებული როლი ეკონომიკურ განვითარებაში, მით უმეტეს ქვეყანაში თავისუფალი კაპიტალის ნაკლებობის პირობებში.

დაბოლოს, სარეიტინგო თემაზე ლაპარაკი იკვავახსიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უადრესად მნიშვნელოვანი წარმატებით გვინდა დავასრულოთ. თსუ-ს ცნობით, ჩვენმა სახელოვანმა უმაღლესმა სასწავლებელმა, მსოფლიოს დაახლოებით 24 ათას უნივერსიტეტს შორის უწინდელი 2006-დან 830-ე, ადგილზე, ევროპის უნივერსიტეტებს შორის კი 714-დან 349-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ამასთან, საგულწიხაროა, რომ www.webometrics.info-ს რანგის ტაბელის თანახმად, სამხრეთ კავკასიაში სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი 2628-ე ადგილზეა, ხოლო აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი 6405-ეზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო უნივერსიტეტები ვებ-რანჟირებას ავტორიტეტული ევროპული ორგანიზაცია, ესპანური CSIS-ის ლაბორატორია „კიბერმეტრიკის“ ნიციბატივით ხორციელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, მთელ რიგ სხვა პარამეტრთან ერთად, CSIS-ის სხვა ვებ-გვერდების მონაცემებაც ითვალისწინებს.

ოთარ ტურაბელიძე



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისი გაზის მიწოდების გაღვივების შესახებ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებას ანარქოებს

ქართული ოპოზიციის ბრალს სდებს ხელისუფლებას მსდელთაგან - აღადგინოს ქვეყნის ენერგოლოგია

სამხრეთკავკასიაში საპროტესტო ტალღა გამოიწვია მთავრობის გეგმებმა, გაზარდოს რუსეთის გაზის მოწოდების მოცულობები. ამასთან დაკავშირებით 10 ოქტომბერს თბილისში გაიმართა საპროტესტო აქცია „ოკუპანტი ვერ გაგვატოვებს“, მეორე უფრო ფართომასშტაბური აქცია სათაურით „გაზპრომი - ესაა თავისუფლების გაზის კამერა“ - გაიმართება 17 ოქტომბერს მთავრობის შენობასთან.



„საქართველოს თავისუფლება საფრთხის ქვეშაა - მთავრობას შეეფარა გაზპრომის მანქანები. რუსული გაზი - ბუტინის გეოპოლიტიკური იარაღია. გაზპრომზე დამოკიდებულება ნიშნავს დამორჩილებულ, ღარიბ, გაცივებულ საქართველოს წვედიადში. საქართველოს ენერგოდამოუკიდებულება - ესაა ქართველი ხალხის მიღწევა და იგი ჩვენ არ უნდა დავთმოთ“, - ნათქვამია დამატებითი აქციის ორგანიზატორების ცნობაში - ისინი წარმოადგენენ ოპოზიციურ ტელეარხ „ტაბულას“.

ბრიუსელის შეხვედრა

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ ადრე ბრიუსელში გამართა შეხვედრა გაზპრომის აღმასრულებელ დირექტორთან ალექსეი მილერთან და აღუსნა ეს ოპონენტებს იმით, რომ თბილისი გაზის მიწოდებას ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლებლობაა.

„ჩვენი მთავარი მიმწოდებელი აზერბაიჯანია, რომელიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ როგორც ნებისმიერი განვითარებული ქვეყანა, ჩვენ ვფიქრობთ ენერგეტიკული წყაროების დივერსიფიკაციაზე. საკითხი აქ შეეხება არა მხოლოდ გაზის დამატებით მოცულობებს რუსეთიდან, ჩვენ ვენეციტი აქტიურ მუშაობას ირანთანაც“, - განაცხადა კალაძემ.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც 2006 წელს საქართველო დარჩა რუსეთის ბუნებრივი აირის გარეშე, თბილისმა 2007 წლიდან შეწყვიტა რუსეთის ბუნებრივი აირის შესყიდვა, შეცვალა იგი ბუნებრივი გაზით, რომელსაც აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ აწვდიდა. ამავე დროს საქართველო დეზულობს რუსეთის გაზის საერთო მოცულობის 10 პროცენტს. გაზპრომის ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს კომპანიამ მიანოდა საქართველოს 0,3 მილიარდი კუბური მეტრი გაზი.

„ბრიუსელში შეხვედრაზე ჩვენ დავაყენეთ საკითხი იმ გაზის მოცულობის გაზრდის შესახებ, რომელსაც აწვდიან სომხეთს, ვინაიდან ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაზპრომი მაქსიმალურად იყოს დამოკიდებული და ჩვენ ვვლდებოდეთ გაზს დიდი მოცულობით. და თუ კონკრეტულ კომპანიებს ექნებათ სურვილი და შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ, მიიღონ რუსული გაზი“, - განუცხადა ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

ქრიტიკა ოპოზიციის მხრიდან

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის განმარტება ხელისუფლების ოპონენტებისათვის არადაამაყოფილებელი აღმოჩნდა. მათ რუსეთიდან გაზის შესყიდვის გეგმები მიაჩნიათ „საეჭვოდ“, ითვალისწინებენ საქართველოს გამოცდილებას, როდესაც მოსკოვმა გაზი გამოიყენა „როგორც პოლიტიკური შანტაჟის საშუალებად“.

„უფრო მეტიც, როგორც ოპოზიციონერები აცხადებენ, ყველაზე შელავთიანი ფასიც კი, რაც თეორიულად შეიძლება გაზპრომმა შემოგვთავაზოს, დაახლოებით 25 დოლარით აჭარბებს იმ ფასს, რომელსაც საქართველო ღებულობს აზერბაიჯანული „სოკარიდან“. უფრო მეტიც, ოპოზიცია აცხადებს, რომ მოთხოვნის გაჩენის შემთხვევაში კომპანია „სოკარის“ გაზსადენს აქვს პოტენციალი - უზრუნველყოს მიწოდება ორჯერ უფრო გაზრდილი ოდენობით. ასევე, აცხადებენ ხელისუფლების ოპონენტები, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზი შახ-დენიზის საბაოდან დღეისათვის 7 მილიარდ კუბმეტრს შეადგენს წელიწადში. წინასწარი დაანგარიშებით, 2,5 წლის განმავლობაში ეს მოცულობა კიდევ უნდა გაიზარდოს 6 მილიარდი კუბური მეტრით, 2019 წლისათვის კი - 10 მილიარდი კუბური მეტრით. შესაბამისად, გაიზრდება ქვეყნის სარგებელი ბუნებრივი აირის ტრანზიტისგან, რომელიც, როგორც ამას გაზპრომთან გარიგების მონიშნულმდეგეები ამტკიცებენ, თითქმის სანახევროდ დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას.

ოპოზიცია გაზპრომთან გარიგებაში ასევე დაინტერესებას ხედავს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა, რომელმაც 2012 წელს არჩევნებზე დამარცხა მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ამტკიცებს, რომ ივანიშვილი დღემდე არის გაზპრომის აქციონერი და ფლობს რუსული კომპანიის აქციების ერთ პროცენტს. ამავე დროს ამ ინფორმაციის ოფიციალური დადასტურება არ არსებობს, თავად ივანიშვილმა კი ადრე განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მან გაყიდა თავისი აქცია რუსეთში. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ოპოზიცია ისევე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ამტკიცებს, რომ მიუხედავად თანამდებობიდან ნეპყოფლობითი წასვლისა ორი წლის წინათ, ივანიშვილი აგრძელებს ქვეყნის მართვას „კულისებს მიღმიდან“.

ზიზიტი გაქოში

აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ნეგატიური რეაგირება მოახდინეს თბილისის გეგმაზე, გაზარდოს რუსეთის გაზის მიწოდება. ამავე დროს „სოკარის“ გენერალურმა დირექტორმა მასხრამამედოვმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანული კომპანია მზადაა კონკურენციისთვის რუსულ გაზპრომთან.

ამავდროულად ქართული ოპოზიციის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ აზერბაიჯანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უკმაყოფილება ასახავს აზერბაიჯანის მთავრობის გალიზიანებას თბილისის მოქმედებასთან დაკავშირებით, გახდა კიდევ უფრო ხმაურიანი მას შემდეგ, რაც 10 ოქტომბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მოულოდნელად ჩაფრინდა ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევიდან შეხვედრაზე.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ღარიბაშვილი შეხვედა ილჰამ ალიევს ორმხრივი ურთიერთობებისა და რეგიონალური უშიშროების საკითხების განხილვისათვის.

„საუბრის დასაწყისში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს მთავრობის მეთაურის ვიზიტის მნიშვნელობა, პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობა. ლიდერებმა განიხილეს პოლიტიკურ-ეკონომიკური თემები და რეგიონალური უშიშროების საკითხები, ხაზგასმით აღნიშნეს თანამშრომლობა ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის და ტრანსპორტის სფეროებში და ურთიერთობათა გაღრმავების პერსპექტივები“, - აღნიშნულია საქართველოს მთავრობის ცნობაში.

თავის მხრივ, ილჰამ ალიევის ადმინისტრაციამ თავის ცნობაში განაცხადა, რომ შეხვედრაზე „კმაყოფილებით იქნა აღნიშნული ორმხრივი ურთიერთობათა განვითარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში, საუბარია ჩვენი ქვეყნების მიერ ერთობლივად განხორციელებულ პროექტებზე ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროებში“.

ალიევიან მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც, ქართული მხარის მონაცემებით, დაახლოებით 3 საათი გაგრძელდა, ღარიბაშვილი დაბრუნდა თბილისში. როგორც საქართველოს მთავრობის განცხადებაშია ნათქვამი, უახლოეს მომავალში ილჰამ ალიევი ჩამოვა საქართველოში.



დედამინის ზურგზე



ნასამ გამოაქვეყნა პარკის ათონისაზის აბაშოპროექტი

ამოცანა სამ ეტაპადაა დაყოფილი, ამ დროს პირველი მათგანი უკვე მიმდინარეობს. იგი გამოყოფილია ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსის გავლენის შესწავლისთვის და წარმოებდა საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორზე. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდის გაშვება მთვარის მახლობელ სივრცეში, სადაც დამუშავებენ ასტეროიდის ხელში ჩაგდებას, ამის შემდეგ მესამე ეტაპზე, დაგეგმილია ადამიანის გაფრენა წითელ პლანეტაზე.

ესტონეთმა განეგრძა ნაგოს ღამაჯაბითი ჯარების გამოქრენა რუსეთის „აგრანიული ქსეპით“

„რაც შეეხება ნატოს დამატებითი ჯარების განთავსებას, აქ მინდა შეგახსენოთ ესტონეთი ნატოს წევრია. და ჩვენ ტერიტორიაზე იმყოფება იმ ბლოკის ჯარები, რომლის წევრიც დღეს ჩვენ თავადა ვართ. დიას, ისინი უფრო მეტი არიან, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ. მაგრამ მიზეზი ჩვენ არა ვართ: არც ესტონეთი, არც ნატო, არც ევროკავშირი“, - განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარინა კალუიანდმა.

უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს განაცხადება

როგორც უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკაციების დეპარტამენტის დირექტორმა არტიომ შევჩენკომ განაცხადა, პოლიციელებმა შეადგინეს დოკუმენტები მოწმეთა მიზიდვის, ვინაიდან დიპლომატიური იმუნიტეტი უკრაინის საპტრულო პოლიციას არ აძლევს საშუალებას, შეადგინონ ოქმები ასეთ დამარღვევებზე. ავტომობილი წაიღეს ევაკუატორით, დიპლომატი კი წაიყვანა მისმა კოლეგამ რუსეთის ფედერაციის საელჩოდან.

აზიკაპანიაზე გაავრცელეს გაუტონილება სიჩაითის შესახებ სირიაში რუსეთის უღაქარისის საპაროქოების დაქვეშეობით

ევროპის ავიაუშიშროების სააგენტომ 9 ოქტომბერს გამოუშვა გაფრთხილება ავიაგადამზიდებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ფრენებს კასპის ზღვაზე, ირანისა და ერაყის ცაში. ზოგიერთმა ავიაკომპანიამ უკვე შეცვალა მარშრუტები, რომლებიც გადის სირიის მეზობელი სახელმწიფოების გავლით.

სირიის ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუხსნა მოლაპარაკებას ქრიზისის მოწესრიგებასთან დაქვეშეობით - ამჟამის პრესა

„სირიის რეგულაციური ძალების ეროვნული კოალიცია არ მიიღებს მონაწილეობას სამუშაო ჯგუფებში, რომელთა შექმნის წინადადებაც დააყენა გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა სტეფან დე მისტურამ. ჩვენ განვალხლებთ მოლაპარაკების პროცესს სირიაში რუსეთის ოპერაციის შეწყვეტის შემდეგ“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც გაავრცელა სირიის ოპოზიციის უდიდესმა უცხოურმა დაჯგუფებამ - მას ბაზა სტამბოლში აქვს.



# სუმრობა იქით იყოს...

**მეცნიერებმა, ყოველგვარი სუმრობის გარეშე, გაარკვეეს, თუ რით უფრო ხანგრძლივად დინოზავრებს, რითაა სასარგებლო ფრანგული კონცა და კიდევ ბევრი სხვა რამ, რასაც, შესაძლოა, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა კი ნამდვილად ძალიან საინტერესოა.**

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო და პრესტიჟულ ჰარვარდის უნივერსიტეტში შნობელის (ანუ იგნობელის) პრემიების მორიგი ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. თავდაპირველად ეს ჯილდო საქვეყნო ცნობილი ნობელის პრემიის ერთგვარ პაროდიად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ბოლო წლებში მეცნიერთა წრეებში მან თანდათანობით საკმაოდ სოლიდური ავტორიტეტი მოიპოვა. მისი დამაარსებლები აცხადებენ, რომ შნობელის პრემიას ერთი შეხედვით სასაცილო გამოკვლევებში ანიჭებენ, რომლებიც შემდგომ მეტად სერიოზულ, დაკვირვებით მიდგომასა და შესწავლას საჭიროებენ.

თუკი მთელი ცხოვრების მანძილზე მიგანჩნდათ, რომ რაც უფრო დიდი ცხოველი, ის მით უფრო დიდი ხნის მანძილზე შარდავს, სასწრაფოდ უნდა გაცნოთ სამეცნიერო ნაშრომს „შარდვის ხანგრძლივობა და სხეულის სიდიდე“. მისმა ავტორებმა, ამერიკელმა და ტაივანელმა მეცნიერებმა სპილოებზე, აქლემებზე, თხებზე, ძაღლებსა და ვირთაგვებზე უამრავი ექსპერიმენტი ჩაატარეს და გასაოცარი შედეგები მიიღეს: **აღმოჩნდა, რომ ყველა ძუძუმწოვარ ცხოველი დაახლოებით ერთსა და იმავე დროში – 21 წაში – შარდავს.**

მკვლევარებმა იცინან, რასაც ლაპარაკობენ, რადგან შარდვის პროცესის ჰიდროდინამიკა ყურადღებით შეისწავლეს, საგულდაგულოდ გააანალიზეს სხვადასხვა ცხოველთა მიერ გაშვებული ნაკადების სიჩქარე, რა დროსაც მაღალი სიჩქარის ვიდეოგადაღება გამოიყენეს.



მათ საკმაოდ დამაინტრიგებელი დასკვნა გამოიტანეს: „**შარდგამტარ არსს თვითგაფართობის უნარი აქვს, რომელიც შარდვის სისტემას, მისი ფუნქციონალობისთვის ყოველგვარი ზარალის მიუყენებლად, 3,6-ჯერ გადიდების შესაძლებლობას აძლევს.**“

მეცნიერებს შნობელის პრემია მათ „**შარდვის მსოფლიო კანონის აღმოჩენისათვის**“ ფორმულირებით მიენიჭათ. სხვათა შორის, როგორც ლონისძიების ორგანიზატორები აღნიშნავენ, ამ გამოკვლევამ შესაძლოა დიზაინერებს „მასშტაბური ჰიდროდინამიკური სისტემების შექმნა შთააგონოს, რომლებიც ბუნებრივ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული“.

ნომინაციაში „ლიტერატურა“ ლინგვისტიკის ჯგუფმა გაიმარჯვა, რომელმაც აღმოაჩინა რომ **შორისდებული „ა“**



## შნობელის პრემიის ლაურეატები

(რომელსაც ყოველდღიურ ყოფაში ხშირად „რას?“ ფორმით ვანაცვლებთ), უნივერსალურია და ამა თუ იმ ფორმით მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა ენაში გამოიყენება. „ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ენის ამ მდგენელს ლინგვისტიკური ბუნება აქვს, იგი არ არის უბრალოდ უაზრო ყმული ან ლექსიკური ბეგრა“, – განმარტავენ მეცნიერები.

ჩილელმა და ამერიკელმა ბიოლოგებმა კი შნობელის პრემია იმაში მიიღეს, რომ ისინი... ხელოვნურკუდიანი წინილებს ზრდიდნენ (მათ კურტუმოზე ჯონის მსგავს საგნებს ამაგრებდნენ) და მერე მათ სიარულს აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ **ჯონშიამაგრებული ფრინველი ზუსტად... დინოზავრივით დადის, თუმცა კი რა ხეირის მიღება შეიძლება ამ ინფორმაციიდან, ნამდვილად ძნელი სათქმელია.**

ამერიკელმა მაიკლ სმიტმა კი მეცნიერების განვითარებისათვის ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა: **იმის გასარკვევად, თუ სხეულის რომელ ნაწილზე ფუტკრის კბენა უფრო მეტად მტკივნეული, მან მწერებს მთელი სხეული დააკბენინა. შედეგად კი გაარკვეა, რომ ყველაზე მტკივნეულია ფუტკრის კბენა ცხვირის ნესტოზე, ზედა ტუჩზე და... პენისზე.** სიმართ-


**გარკვის მსოფლიო კანონი, წინილება სელონური კულაბით და სულთან პულაი ისაილ იბნ პერიუს 888 შვილი**



სეირის მიღება შეიძლება ამ ინფორმაციიდან, ნამდვილად ძნელი სათქმელია.

ლე გითხრათ, ამ უკანასკნელის თაობაზე ექვსი შეტანა შეუძლებელია, ამიტომაც ისლად ავგარჩენია, რომ მამაც მკვლევარს წარმატებები ვუსურვოთ პირად ცხოვრებაში!

ავსტრიელმა მათემატიკოსმა ელისაბედ ობერცაუტერმა იმის გარკვევა დაისახა მიზნად, **თუ როგორ შეძლო მაროკოელმა სულთანმა მულაი ისმაილ იბნ შერიფმარომელიც ქვეყანას 1672-დან 1727 წლამდე მართავდა... 888 შვილის ყოლა?** ცნობისმოყვარე მკვლევარმა ქალბატონმა კომპიუტერული მოდელების რამდენიმე სენსი ჩაატარა, რა დროსაც რთული მათემატიკური ხერხები გამოიყენა და **ადადგინა, რომ 32 წლის მანძილზე სულთანს ყოველდღიურად სექსუალური კონტაქტი ცოლებთან და ხარჭებთან დღე-ღამის**



მოსამზადა ნინო ალექსანდრიამ

### ალთან-ჩაღიანი

#### „სხრა მთას იქით“ სხრა მთას იქით დააჯილდოვან

ლევან თუთბერიძის ფილმი „ცხრა მთას იქით“ ირანის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს. ქართული ფილმი კინოფესტივალის აზიურ სექციაში საუკეთესო ფილმად აღიარეს და „ოქროს ჟანსონი“ გადასცეს. „ცხრა მთას იქით“ ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული ფილმი, რომლის პრემიერაც სიეტლის საერთაშორისო კინოფესტივალზე რამდენიმე თვის წინათ შედგა.

#### „სოკარი“ აქლესია-მონასტრებს შემარკბა

საბართხელო ტერიტორიაზე არსებული ეკლესიამონასტრების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს კომპანია „სოკარი“ გადაიხდის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს.

„ნავთობკომპანია „სოკარსა“ და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, „სოკარმა“ კეთილი ნებით აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა ეწ ურევდა ამა წლის 1 ნოემბრისთვის, თუმცა, კომპანიის გადაწყვეტილებით, დრო გაგრძელდა კიდევ ორი თვით, ანუ 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (შეგნიშნავთ, რომ დახმარება ასევე გაუგრძელდათ სხვა რელიგიებსაც). საქართველოს საპატრიარქო გულითად მადლობას უხდის „სოკარის“ პრეზიდენტს, ბატონ როვანგ აბდულაევს და „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, ბატონ მაჰირ მამედოვს ამ დიდი თანადგომისთვის“, – აღნიშნულია განცხადებაში.

#### ოკ, ეს სუპენიკაბი

ბათუმში, საბაგიროს ტერიტორიაზე, სუენიერების ჯიხურების მუპატრონეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. გარემოვაჭრეები ამბობენ, რომ მერიიდან მიიღეს გაფრთხი-

ლება 15 ოქტომბრიდან გარევაჭრობის აკრძალვის შესახებ. გარემოვაჭრეები კი, ბათუმის მერიიდან პასუხს იმის შესახებ ელოდებიან, თუ რა ფორმით შეძლებენ მუშაობის გაგრძელებას 15 ოქტომბრის შემდეგ. როგორც აქციის მონაწილე რეინ შერვაშიძემ აღნიშნა, მერია შეპირდა პოლანდიური ჯისურების ჩამოტანას, თუმცა ჯისურები არ ჩანს; „მერიასთან გვექონდა მოლაპარაკებები, მათ ჰქონდათ შემოთავაზება, რომ პოლანდიიდან უნდა ჩამოეტანათ ჯისურები და ჩაენაცვლებინათ, მაგრამ არც პოლანდიური ჯისურები ჩანს და არც გადასახადის თაობაზე ვიცით რაიმე. მსოლოდ ერთი რამ გვითხრა მერიამ – აიღეთ ჯისურები და წაიღეთ. ამ ჯისურში მათასი ლარის საქონელია, სადა უნდა წავილოთ ეს საქონელი, ზოგს კრედიტი აქვს, ზოგს – სესხი. ბაგრატიონის ქუჩაზე რომ გადავიტანო, იქ ვინ მოვა და იყიდის. ეს საბაგირო რომ გააკეთეს, გვერდით სუენიერები არ უნდა იყოს? თუ აგვეკრძალება საქმიანობა, მერიამ შეისყიდოს ეს სუენიერები“, – აღნიშნა რეინ შერვაშიძემ.

გარემოვაჭრეებმა აქციით ბათუმის მერიასთან გადაინაცვლეს. ისინი აცხადებენ, რომ ვაჭრობის შეწყვეტას არ ამბობენ.

ფეხბურთი

გუნდი გვყავს და ქული გვხურავს



მართალია, კახი ცხადადე ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრუბის მთავარი მწვრთნელი სულ ახლახანს გახდა, მაგრამ მთავარს უკვე მიაღწია - ბიჭებს საკუთარი ძალების რწმენა ჩაუნერგა. ვიმედოვნებთ, რომ ამით უკვე ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როცა „ჯვაროსნები“ ბრძოლას მეტოქესთან გასახდელშივე, სარბიელზე გასვლაშივე აგებდნენ.

გოლები: მიულერი, კრუზე; კანკაბა. „ვერო - 2016“-ის შესარჩევი რაუნდის ფინიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის მოღვაწეობის სასტიკარტო პერიოდს დაემთხვა, რაც ლაიფციგში მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან მატჩს ინტრიგას მატებდა. სხვათა შორის, მოტივაციის დეფიციტს არც მასპინძლები უჩი-

ოდნენ - წინა ტურში ირლანდიელებთან მარცხის შემდეგ არსებობდა ვარიანტი, რომ იოახიმ ლიოვის გუნდს მორიგი ნაფორხილება პლეი-ოფამდე დაქვეითებულ დაჯდომოდა.

ბუნებრივია, სწორედ ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში მოწმდება როგორც ცალკეულ მოთამაშეთა, ისე მთლიანად ნაკრების ფიზიკური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური და ა. შ. მზადყოფნის დონე. სიაშია ერთ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა თანამემამულეებმა ღირსეულად წარმოაჩინეს სამშობლო და, რაც მთავარია, ფეხბურთი ითამაშეს!

მეტიც - რომ არა ბუნდესმანშფტის მეკარის მანუელ ნოიერის საოცარი რეაქცია ოქრიაშვილის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთების მოგერიებისას, ადვილი შესაძლებელი იყო, მთელი საფეხბურთო სამყარო აგველაპარაკებინა, თუმცა, მოდით, ნურც ჩვენს გოლკიპერს ნურც რევიშვილს ჩავუყრით წყალში ამავე, რომელიც ულამაზესი გოლის ავტორ, გუნდის კაპიტან ჯაბა კანკავასთან ერთად საუკეთესო იყო პარტნიორთა შორის.

პოლონეთი - ირლანდია 2:1, გიბრალტარი - შოტლანდია 0:6. საბოლოო მდგომარეობა: გერმანია - 22, პოლონეთი - 21, ირლანდია - 18, შოტლანდია - 15, საქართველო - 9, გიბრალტარი - 0 ქულა.

გიორგი შოთაძე

ჭადრაკი

კახნიძის პირველი გამარჯვება

მონაპოს გრან-პრიზე მოთამაშე ქართველმა მოჭადრაკე ნანა ძაგნიძემ (2573) პირველი გამარჯვება იხვეია და ბოლო ადგილს თავი დააღწია.



შეჯიბრის მე-8 ტურში ნანამ თეთრი ფიგურებით საფრანგეთის სახელით მოთამაშე ელმირა სკრიპჩენკო (2441) დაამარცხა და 2 ქულით მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა, ცხრილის ფსკერზე კი ირანელი სარასადატ ხადემალშარიჰმა (2402) დაქვეითდა, რომელსაც ტურნირზე ყველაზე დაბალი რეიტინგი გააჩნია.

გუშინ გრან-პრიზე დასვენების დღე იყო, ძაგნიძეს კი 3 პარტია დარჩა ჩასატარებელი: ბულგარელ ანტოანეტა სტეფანოვასთან (2500), უკრაინელ ანა მუზიჩუკთან (2549) და ხსენებულ ხადემალშარიჰმასთან. სადღეისოდ სატურნირო ცხრილის სათავეში მსოფლიოს ექსპერტიზის და საჭადრაკო რეიტინგის ლიდერი ჰოუ ივანი (ჩინეთი, 2671) იმყოფება, რომელსაც 6.5 ქულა აქვს. მას ნახევარი ქულით მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2528) ჩამორჩება.

კობა კობახიძე

„სამეგრელო“ ყველას აჯობა

ურბეში დამთავრდა მოჭადრაკეთა საქართველოს გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც რვა ნაკრები მონაწილეობდა. ბოლო მე-7 ტურში ქვემო ქართლის „რუსთავმა“ ერთპიროვნული ლიდერი „სამეგრელო“ (მის შემადგენლობაში სამი უკრაინელი - ვიტალი ბერნადსკი, ვიტალი სივუკი, იულია ოსმაკი, ორი პეტერბურგელი - ვალერი პოპოვი და მაქსიმ ჩიგავეი თამაშობდნენ მაია ლომინიშვილთან ერთად) დაამარცხა და ქულებით კი გაუთანაბრდა, მაგრამ გუნდის წევრების მიერ მოპოვებული საერთო ქულებით „სამეგრელომ“ მაინც აჯობა მეტოქეს და ჩემპიონობა მოიპოვა. მასამე ადგილზე გავიდა იმერეთის „ქუთაისი“, რომელმაც საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ ბათუმის „ნონას“ აჯობა.

„რუსთავი“ - „სამეგრელო“ 3.5:2.5 (თამაზ გელაშვილი - ვიტალი ბერნადსკი 0.5:0.5, ლუკა პაიჭაძე-ვიტალი სივუკი 1:0, თამაზ მგელაძე - ვალერი პოპოვი 0:1, ნინო ხურციძე - მაია ლომინიშვილი 1:0, ოლექსანდრ ბორტნიკი - მაქსიმ ჩიგავეი 0:1, ნასტასია ზიზიუკინა-იულია ოსმაკი 1:0).

„ქუთაისი“ - „ნონა“ 4.5:1.5 (დავით ბენიძე - ალექსანდრ ფიერი 0.5:0.5, გიგა ყუფარიძე - დავით ჯოჯუა 0.5:0.5, ნიკოლოზ მანაგაძე - დავით მალალაშვილი 0.5:0.5, მერი არაბიძე - მირანდა მიქაძე 1:0, ნოე თუთისანი - გიორგი სიბაშვილი 1:0, მარიამ ჭოლაძე - ანა კუჭავა 1:0).

„ამბროლაური“ - „გურია“ 2:4 (ლევან ბახტაძე-ბაჩანა მორჩიაშვილი 1:0, ირაკლი კობახიძე - ნიკოლოზ ჩხაიძე 0:1, ნიკოლოზ პეტრიაშვილი - მინდია ჩხიკვიშვილი 1:0, ანა გავაშელი - ანა შამათავა 0:1, ლექსო მეტრეველი - ალექსანდრე ებრაძიძე 0:1, ელენე კოსტავა - ქეთევან ხომერკიძე 0:1).

საბოლოო ცხრილი: სამეგრელო, რუსთავი - 12-12, ქუთაისი, თბილისი, ნონა - 8-8, კახეთი, გურია - 4-4, ამბროლაური - 0 ქულა.

ლევან ცინცაძე

კალენობა

უხვი ნადავლით

კლავიპედაში (ლიტვა) გამართულ 20 და 23-წლამდელ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე საქართველოს ნაკრების წევრებმა 14 მედალი (1 „ოქრო“, 7 „ვერცხლი“ და 6 „ბრინჯაო“) მოიპოვეს.

23-წლამდელელებში რამინ შამილიშვილმა 120 კილოგრამი აიტაცა და პირველი ადგილი დაიკავა, აკვრაში 142 კილოტი მესამე იყო, ორჭიდში კი 262 კილოტი მეორე ადგილზე გავიდა. ამავე ასაკში გიორგი ლომთაძეს ატაცში ვერცხლის (147), აკვრასა (175) და ორჭიდში (322) ბრინჯაოს მედალები ხვდა. 20-წლამდელელებში: გოგა ჩხეიძე - აკვრაში (161) მესამე ადგილი;



ირაკლი გაბრიჭიძე - ატაცში (145) მეორე ადგილი; ლონგინოზ ბრეგვაძე - ატაცში (157) მეორე, აკვრაში (192) მეორე, ორჭიდში (349) მესამე ადგილი; გიორგი ჩხეიძე - ატაცში (164) მეორე, აკვრაში (201) მესამე, ორჭიდში (365) მეორე ადგილი.

გოგონებში 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა თათია ლორთქიფანიძე, რომელმაც აიტაცა 79, აკრა 97 კილოგრამი და ორჭიდში 176 კილოგრამით მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

თამაზ პატარაია

ჩოგბურთი

ჩიბპენტში ქართველები პირველობენ

მზახსურ ჩიბპენტში დამთავრდა ჩოგბურთულ ქალ-ვაჭათა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ოთხი ქართველი მონაწილეობდა. მანძილოსანთა 10.000-იან შეჯიბრებაში სოფიო ქვაცაბაია იყოჩაღა - ერთეულთა თანრიგში მეორე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ზედამარცხა კამილა ბოლატოვა (ყაზახეთი, 6:3, 6:0), ალინა ზოლოტარიოვა (რუსეთი, 6:2, 6:1), ჟიბეკ კულამბაევა (ყაზახეთი, 7:5, 7:5), კამილა კერიმბაიევა (ყაზახეთი, 7:6, 7:5), მარია სტეფური (გერმანია, 6:4, 5:7, 6:1) და პირველი ადგილი დაიკავა. ეკატერინე გორგოძემ ნახევარფინალამდე მიაღწია - გზიდან ჩამოიშორა დანელ აშიროვა (ყაზახეთი, 6:0, 6:1), პოლინა მერენკოვა (უზბეკეთი, 6:4, 6:3) და ტამარა ბიჟუკოვა (რუსეთი, 6:0,

4:6, 6:3), მარია სტეფურთან კი 3:6, 5:7 წააგო. წყვილებში გორგოძემ და ქვაკაბაიამ ოთხ შეხვედრაში მიაღწიეს გამარჯვებას. სტარტზე რუსებს - ანა იაკოვლევას და ქსენია შარიფოვას აჯობეს - 6:3, 6:0, შემდეგ მათს გზას გაუყენეს აშმიტა იაშვარამურთი (ინდოეთი), ადრიანა სოსნოვი (მოლდოვა, 6:3, 6:4), ვიქტორია კლიმუშკინა, ალინა ზოლოტარიოვა (ორივე - რუსეთი, 6:1, 6:3), ალბინა საბიბულინა, პოლინა მერენკოვა (ორივე - უზბეკეთი, 7:5, 3:6, 10:6) და მთავარი პრიზი დაიმსახურეს. ვაჭათა ტურნირში (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი) ქართველმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა, რომელიც მეორე ნომრად იყო განთესილი, დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება: ჯერ მას-

პინძელი არშან არაშოვი (6:3, 6:0), შემდეგ ტიმურ კიუამოვი (რუსეთი, 6:1, 6:0), სანჯარ ფაიზიევი (უზბეკეთი, 7:6, 6:3), ალექსანდრ ლაზოვი (ბულგარეთი, 6:0, 6:0), ივან გავხოვი (რუსეთი, 6:1, 6:2) დაამარცხა და პირველობაც მას ერგო. მეტრეველმა წყვილებში სწორედ გახოვთან ერთად პირველ წრეში რუსებს - ტიმურ კიუამოვსა და ტიმურ რაზმაიტოვს სძლია - 5:7, 6:3, 10:7, მეორხედფინალსა და ნახევარფინალში იოლად ჩამოიშორა გზიდან საგადათ აიარ (ყაზახეთი) - პაველ ცოის (უზბეკეთი, 6:1, 6:0), პაველ ფოლინიაროსლაუ შილას (ორივე - ბელარუსი, 6:3, 6:4) დუეტები, გადამწყვეტ პაექრობაში კი მარკოს კალოველონის (რუსეთი) - ალექსანდრ ლაზოვის (ბულგარეთი) ტანდემი დაჯაზნა - 7:6, 6:3.

ქართველი ჩოგბურთელები ისევ ჩიბპენტში რჩებიან და ახალ ტურნირებში ჩაებმებიან.

ლაზა დიდი

კალათბურთი

სტიბიზილი კარიერას ჩინეთში გააგრძელებს

ნიკოლოზ ციტიშვილი კარიერას ჩინეთის კლუბ „ფუჯიან ქუანჟოუ ბანგში“ გააგრძელებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას Eurobasket.com ავრცელებს.



შეგახსენებთ, რომ 32 წლის ქართველი კალათბურთელი ნბა-ში ხელმეორედ დამკვიდრებას ცდილობდა და „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ბანაკშიც იმყოფებოდა, თუმცა, კალიფორნიელებმა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება აღარ ისურვეს. შემდეგ, ცქიტიშვილმა მზერა ისევ აზიას მიაპყრო, სადაც ის გასულ წლებში თამაშობდა, კონკრეტულად კი არაბეთის გაერთიანებული საამიროების, ირანის და ლიბანის კლუბებში ირიცხებოდა.

საინტერესოა, რომ „ფუჯიანში“ ნიკოლოზს ძველი ნაცნობი, ლიბანის ნაკრების ლიდერი ფადი ხატიბი დახვდა, რომელთან ერთადც ქართველ ფორვარდს „ჩემპიონში“ უთამაშია.

ცქიტიშვილმა უკვე მოასწრო ახალი კლუბის მაისურით ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარება და 13 ქულა მოაგროვა. ისიც ვთქვათ, რომ გასულ სეზონში „ფუჯიანმა“ 10 მოგება და 28 მარცხი მოაგროვა და პლეი-ოფში არ უთამაშია.

ვიტალი ჯაფარიძე


ბასილაშვილი - ძირითად ბადეუი



თბილისელმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ჩინურ შანხაიში წარმატებით ითამაშა მასტერსის (საპრიზო ფონდი 7.021335 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე - ზედიზედ ორ მეტოქეს სძლია: ჯერ იაპონელ შუიჩი სეკიგაუჩის მოუგო - 6:4, 6:2, მეორე წრეში კი ამერიკელ ოსტინ კრაიჩეკს აჯობა - 6:3, 7:6 და ძირითად ბადეში გააღწია, სადაც პირველ წრეში მე-10 ნომრად განთესილ ფილ სიმონს (საფრანგეთი) დაუპირისპირდება.

გივი ბაგვა

ჯოკოვიჩმა 55-ე გიგული მოიგო და ნაღალთან სხვაობა შეამსიკა



მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა China Open-ის ფინალში დიდი სლემის 14-გზის ჩემპიონი რაფელ ნადალი 6:2, 6:2 დაამარცხა და ერთეულთა თანრიგში 55-ე ტიტული მოიპოვა. შეხვედრა საათი და 32 წუთი გაგრძელდა. ნოვაკმა 7 ეისი ჩააწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვა მაშინ, როცა რაფამ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ვერც ერთი ეისის მონოდედა ვერ მოახერხა. სერბმა 5 ბრეიკპოინტიდან 4 გამოიყენა, ნადალს კი მხოლოდ ორჯერ ჰქონდა შანსი მეტოქის დაბრეკების, თუმცა შანსი ორივეჯერ დაკარგა. ჯოკოვიჩმა China Open-ი მეექვსედ მოიგო (2009, 2010, 2012, 2013, 2014, 2015). ამ გამარჯვებით „ნოლემ“ 500 სარეიტინგო ქულა და 654 725 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.


ურთიერთშეხვედრებში ნოვაკმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - ნადალი ბალკანელს 23:22 უგებს.

მანუჩარ გიორგაძე

გაზიფი

სასიკეთოდ განასვლილი „ცხოვრება და კანონი“

გამომცემი ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ მეორე ნომერი, რომელშიც რიგობით ორი ათეული გადასახარა და მკითხველს განახლებული და მეტად საინტერესო რუბრიკებით წარუდგა. სწორედ ჟურნალის მთავარი რედაქტორის ოთარ გამყრელიძისა და მისი მოადგილის ჯემალ შეღვას ამ გადაწყვეტილებამ, ცვლილებები შეეტანა ჟურნალის თემატიკაში, იგი მეტად მრავალფეროვანი და ინფორმაციულად დატვირთული გახდა.



ჟურნალის სიახლეა ახალგაზრდა იურისტთა გვერდი, რომლის ფურცლებითაც ძირითადად სტუდენტები დაკავდებიან თავიანთი მოსაზრებებით. საინტერესო სიახლე გახლავთ კითხვა-პასუხის გვერდი, რომლის შექმნაც იმ უამრავმა პრობლემატურის საკითხით გამოწვეულმა შეკითხვებმა და წერილებმა განაპირობა, რომლებიც მრავლად შემოდის რედაქციაში.

პირველად ამ ნომერს დაემატა რუბრიკა ისტორიული ექსკურსი, ამ რუბრიკის ქვეშ მკითხველი ახალ ნომერში გაეცნობა ლაშა რთველიძის „ნაფიც მსაჯულთა ისტორიული ისტორიულ-სამართ-

ლებრივ სივრცეში“, სადაც მოთხრობილია ნაფიც მსაჯულთა ისტორიული უძველესი ტრადიციები, ძველი საბერძნეთის, რომის, საქართველოს სამართლებრივი ისტორიუტები, რომლებიც თანამედროვე ისტორიუტის წინაპრებად მიიჩნევიან და არცთუ უსაფუძვლოდ.

ახალი ნომერი იხსნება ბატონ ოთარ გამყრელიძის საინტერესო სტატიით „ოცდაათწლიანი წლის შემდეგ დადებული მსჯავრი“, რომელშიც დიდი ილიას მკვლელობის შესახებ საინტერესო მასალებსა და დაკითხვის ოქმებს იხილავთ. ქალთა უფლებების შესახებ მოგითხრობთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის მიმართულების სტუდენტი მალხაზ რაშიიანი თავის მასალაში „ქალის ბუნებრივი მდგომარეობის ევოლუცია“, სადაც საინტერესოდ განხილული ქალთა უფლებები ძველი ქვეყნების ისტორიაში. ვფიქრობთ, ჟურნალის ეს ნომერი დიდ მოწონებას დაიმსახურებს არამარტო სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველში, არამედ ფართო საზოგადოებაშიც თავისი მეტად საინტერესო პუბლიკაციებით.

ავთანდილ პაძაური

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამხიმარს უცხადებს აკადემიის არქივის უფროსს მანანა მახატელს მუშაობის

გიორგი (ბია) მახატელის

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი: 13, 14 X, 17 სთ. მისამართი: კეკელიძის 12. გამოსვენება 15 X, 14 სთ. წმინდა პანტელეიმონის სახელობის ვერის ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუნარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ყოფილი თანამშრომლის, ცნობილი ჟურნალისტის ბაკურ ბახტურიძის მეუღლე

ნალი პანაშვილი-ბახტურიძე

და სამხიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ძმას გურამ ბენაშვილს და სიძეს სულხან მოლაშვილს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, თამაზ ცინცაძე, დათო დათოშვილი, დემურ მიქაძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახანიძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, პატიოსნებითა და სინდისით აღსავსე პიროვნება, არაჩვეულებრივი ოჯახის შვილი, ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი და დამფუძნებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

ამირან წაროძე

და სამხიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.



შვილები ირაკლი, თამარ კოვზანაძეები, და ირინა ცხადაძე, შვილიშვილები კარლო, დიანა, დიმიტრი კოვზანაძეები, რძლები ქეთევან ტომარაძე, თინა გოგიბერიძე, ნესტან დუდუჩავა, სიძე არჩილ ბურჯანაძე, დეიდა შვილები ეთერ, მიხეილ გოცირიძეები, ბიძა შვილები ერიდა, ომარ, ეთერ, ზურაბ ცხადაძეები, მძახალი ჯამლით ტომარაძე, მაკა, ანდრო ცხადაძეები, ქეთევან, ნიკა ბურჯანაძეები, ირინა, გაია შოთაძეები ოჯახებით ღრმა მწუნარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა (დალილა) ანდროს ასული ცხადაძე

პანაშვიდი 13, 14 X, 17 სთ. მისამართი: თბილისი, ირ. აბაშიძის 79. გამოსვენება 15 X, 14 სთ. მაცხოვრის ამალღების ტაძარი, საბურთალოს პანთეონი.

დეიდაშვილები ეთერ, მიხეილ გოცირიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა (დალილა) ცხადაძე

და სამხიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. 2 93-37-87.

ინფორმაცია

წიგნი ტრაპიკულად დაღუპულ მებრძოლებს

„თიბისი ბანკისა“ და ელექტრონული წიგნების სახელ „საბას“ მხარდაჭერით, თბილისის ზოობარკში გურამ დორჩანაშვილის მოთხრობის – „გივიზე“ პრეზენტაცია გაიმართა.

გურამ დორჩანაშვილია მოთხრობა 13 ივნისის სტიქიის დროს გარდაცვლილ მებრძოლებს გივი დვალს მიუძღვნა, რომელიც წლების განმავლობაში ზოობარკში მუშაობდა.

წიგნის 1000 ეგზემპლარი, რომელიც სპეციალურად 13 ივნისის მოხალისეებისთვის დაიბეჭდა, ავტორმა მათ საჩუქრად პრეზენტაციის დროს გადასცა, ხოლო მოთხრობის ონლაინ ვერსია ელექტრონული წიგნების სახლის ვებგვერდზე saba.com.ge უკვე ყველა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი.

განათლებით ისტორიკოსი, გივი დვალი, რომელიც 13 ივნისის სტიქიას 77 წლის ასაკში ემსხვერპლა, ზოობარკში მაიმუნების მომვლელოდ მუშაობდა. გივის არც ოჯახის წევრი და არც ნათესავი არ ჰყოლია, ამიტომ მისი სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი 20 წლის განმავლობაში ზოობარკი იყო.

განცხადება

2015 წლის 2 დეკემბერს 12 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბნი, დავით აღმაშენებლის ქ. 73) გაიმართება ტყვიის აკუმულატორების ჯართის და ტყვიის შემცველი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის, სოფლებს – დიდ ლილოსა და ნასაგურს შორის არსებულ ტერიტორიაზე ტყვიის აკუმულატორების ჯართის და ტყვიის შემცველი ნარჩენებიდან სუფთა ტყვიის გამოდნობა, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, საწარმოს მოწყობას. პირველ ეტაპზე დაგეგმილია 3000 ტონა/წელიწადში, ხოლო მეორე ეტაპზე – 6000 ტონა/წელიწადში სუფთა ტყვიის პროდუქციის მიღება.

დაგეგმილი საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა - დავით აღმაშენებლის ქ. 73;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 44 39.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო - ქ. თბილისი, გ. გულუაშაძის ქ. ტელ: 2 727234;

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიმართოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- აბჰიშეკ სანგაი (Abhishek sangai) ტელ: 591906704; E-mail: starkmetals@gmail.com
- ვახტანგ გვახარია ტელ: 59950433; E-mail: v.gvakharia@gamma.ge

საზოგადოებებს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლია განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „სტარკ მეტალს“-ის ადმინისტრაცია

სიზრძნე

კონფუციუსის 25 რჩევა

კონფუციუსი ქრისტეს შობამდე 551 წელს დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ საღვთისმეტყველო საკითხები მისთვის მთავარი თემა არ ყოფილა, მის ფილოსოფიურ ნაშრომებს სწორად მოისვენებდნენ რელიგიად. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მისი ყველა სწავლება მორალზე, ეთიკასა და ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული.

ის იყო პირველი, ვინც დაიწყო საუბარი ჰარმონიულ საზოგადოებაზე. მისი სწავლების ოქროს წესი იყო შემდეგი – „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა საკუთარი თავისთვის“. მისმა სწავლებებმა დიდი გავლენა იქონია ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაზე. 20 წლის ასაკში უკვე ცნობილი მასწავლებელი იყო.

1) სამი გზით შეიძლება მივიდეთ ცოდნამდე: აზროვნება, რომელიც ყველაზე კეთილშობილური გზაა, მიბაძვა, რომელიც ყველაზე მარტივი გზაა და გამოცდილება, რომელიც ყველაზე მწარე გზაა.

2) თუ ვინმე გძულს, ე.ი. მან დაგამარცხა.

3) ქვეყანაში, სადაც არის წესრიგი, შეგიძლია ილაპარაკო და იმოქმედო მხოლოდ მას, ქვეყანაში, სადაც არაა წესრიგი, იყავი გაბედული მოქმედებებში, მაგრამ არა ლაპარაკში.

4) შურისძიების დანებებაზე გათხარეთ ორი საფლავი.

5) მიეცე მითითებები მხოლოდ მას, ვინც ეძებს ცოდნას, რადგან აღმოაჩინა საკუთარი უვიცობა.

6) ბედნიერებაა, როცა შენი ესმით, დიდი ბედნიერებაა,

როცა სიყვარულის ობიექტი ხარ, მაგრამ ნამდვილი ბედნიერებაა, როცა გიყვარს.

7) სინამდვილეში ცხოვრება მარტივია, უბრალოდ, ჩვენ მას ვართულებთ მთელი მონდომებით.

8) წვრილმანებში თავშეუკავებლობა დიდ საქმეს დალუპავს.

9) როცა სიცივე მოდის, მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, რომ კვიპაროსი და ფიჭვი უკანასკნელები კარგავენ სამოსს.

10) ძველ ხალხს არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. ისინი სირცხვილად თვლიდნენ, როცა ადამიანს წინ უსწრებდა ენა.

11) რჩევებს ჩვენ ვიღებთ წვეთობით, სამაგიეროდ, გავცემთ სათულებით.

12) ძვირფასი ქვა პრიალდება მხოლოდ ხახუნით, ასეა



ადამიანიც – შეუძლებელია გახდეს წარმატებული ბევრი მცდელობის გარეშე.

13) კეთილშობილი ადამიანი სთხოვს მხოლოდ საკუთარ თავს, მცირე ადამიანი კი მუდმივად მოითხოვს სხვებისგან.

14) ცუდი ჩვევების დაძლევისთვის საუკეთესო დრო არის დღეს და არა ხვალ.

15) სამი რამ არასოდეს არ ბრუნდება უკან – სიტყვა, დრო და შესაძლებლობა. ამიტომ არ დაკარგო დრო, შეარჩიე სიტყვები და არ გაუშვა ხელიდან შანსი.

16) იპოვეთ ისეთი სამუშაო, რომელიც გიყვარს და თქვენ არ მოგიწევთ მუშაობა მთელი ცხოვრება.

17) მე არ მწყინს, როცა ადამიანებს ჩემი არ ესმით, მე მწყინს, როცა მე არ მესმის მათი.

18) სცადე იყო ცოტა მეტად კეთილი და შენ ვერ შეძლებ ცუდი საქციელის ჩადენას.

19) ძველად ხალხი სწავლობდა საკუთარი თავის სრულყოფისთვის, დღეს ისინი სწავლობენ სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

20) შეგიძლიათ, მთელი ცხოვრება წვევლოთ სიბნელე, ან შეგიძლიათ, ანთოთ პატარა სანთელი.

21) სილამაზე არის ყველგან, მაგრამ ყველას არ უნდა მისი დანახვა.

22) კეთილშობილი ადამიანი სულით მშვიდია, მცირე ადამიანი მუდამ აღშფოთებულია.

23) თუ ზურგს უკან გაფურთხებენ, ე.ი. თქვენ წინ ხართ.

24) ის კი არ არის დიდი ადამიანი, ვინც არ დაცემულა, არამედ ის, ვინც დაეცა და წამოდგომა შეძლო.

25) მნიშვნელობა არა აქვს რამდენად ნელა მოძრაობთ, მთავარია არ გაჩერდეთ.

ისტორია და მედიცინა

ეპიდემიის მიღება

ნაპოლეონი

დამბი ნაპოლეონის გარდაცვალების მიზეზზე დღემდე არ ცხრება. ინგლისელები (მხედართმთავარი ოფიციალურად მათ ტყვედ ითვლებოდა), როდესაც ადგენდნენ დოკუმენტებს მისი გარდაცვალების შესახებ, დაჟინებით მოითხოვდნენ დიაგნოზს „კუჭის



ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი გვარი, სახელი: ნაპოლეონ ბონაპარტი დიაგნოზი: ადიპოზოგენიტალური დისტროფია საქმიანობა: საფრანგეთის იმპერატორი, მხედართმთავარი დაბადების თარიღი: 1769 წელი გარდაცვალების თარიღი: 1821 წელი

კიბო“. მათ უნდოდათ, რომ ცნობილი ადამიანის ავადმყოფობას არანაირი კავშირი არ ჰქონოდა პათიოლოგიის პირობებთან.

ფრანგები კი ოცნებობდნენ გადაეცინათ ინგლისელები დამნაშავეებად მათი კუჭის მირის მკვლელობაში და წერდნენ გაკვეთის საკუთარ ოქმს, რომელიც ძირითადად განსხვავდებოდა ინგლისურისაგან.

მატიარლო გამომგებები

ახალგაზრდობაში ნაპოლეონს ჯანმრთელობა აწუხებდა. მაგრამ დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში ყველაფერი თანდათან იცვლებოდა. მას ძველებურად დღე-ღამეში 3-4 საათი ეძინა, მუშაობდა თავდაუზოგავად, მაგრამ სულ უფრო ხშირად წნდებოდა ავადმყოფური მიზნობა, რის წინააღმდეგ ბრძოლის ძალაც აღარ გააჩნდა. შემდგომში მას შეიძლება ჩასძინებოდა ვატირლოვითან – ამ უმთავრესი ბრძოლის დროს. ეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ბრძოლების დროს, როდესაც მას ჩაეძინებოდა ხოლმე, ხელმძღვანელობის გარეშე ტოვებდა მთელ არმიას.

სარდალს აწუხებდა ხშირი შარდდენა, ძლიერი თავისტიკივილი, ნეიროდერმიტი, მუდმივად სციოდა, უკიდურესად. სწორედ ამ დროს ნაპოლეონს გაუჩნდა ქალის ტიპის სიმსუქნის (თქობისა და მუცელზე) ნიშნები. მეტყველება გახდა მოდუნებულად, მოძრაობა შებოროტილი, გაჩნდა აპათია და გონებრივი ჩავარდნები. რუსეთის კომპანიაში წარუმატებლობისა და ტახტიდან გადადგომის შემდეგ სიტუაცია მხოლოდ გაუარესდა.

წუში და ღმინის ძვა

ნაპოლეონმა მედიკოსებს პირველად, როგორც ეტყობა, 1803 წელს მიმართა. შეიკრიბა საფრანგეთის საუკეთესო ექიმების კონსილიუმი, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ბონაპარტის სისხლი „დის ძალიან წელა“, და ურჩიეს მიეღო ცხელი აბაზანები. მას შემდეგ ნაპოლეონის გვერდით ყოველთვის იყვნენ გადასატანი აბაზანები და მუხანობები, რომელთა მოვალეობებშიც წყლის გათბობა შედიოდა. გადასახლებაშიც კი მხედართმთავარი არ ღალატობდა თავის მრავალწლიან ჩვეულებას, ხოლო კუნძულ წმინდა ელენეს გუბერნატორი ჰადსონ ლოუ გაოცებული იყო: „როგორ შეიძლება საათობით იყო მდულარე წყალში?“

აბაზანის გარდა ექიმებმა „ორგანიზმის საერთო გამყარებისათვის“ დაუნიშნეს – ყოველდღიურად მიეღო სამკურნალო სასმელი გახეხილი წუშისაგან, მაგრამ გაუმჯობესება არ ჩანდა, ჩივილებს მუცლის არეში ტკივილებიც დაემატა, კუჭის ავადმყოფობებს მაშინ სასაქმებელი და პირსაღები საშუალებებით მკურნალობდნენ, ყველაზე პოპულარული წამალი სურმისა და ღვინის ქვის ნარევი იყო. შინაური წამლის უსიამოვნო გემოს მასკირება ღვინით, რძით ან ლუდით ხდებოდა.

მხედართმთავარი წამლებს თავდაპირველად სიამოვნებით ღებულობდა, მაგრამ როდესაც გაიგო მათი უსარგებლობა, თავის მაგივრად მას ჯანმრთელ მოსამსახურეს ასმევდა. სხვათა შორის ამ წამალს არ შეიძლება სრულიად უმოქმედო ვუნდოლოთ, მისი მიღება ორგანიზმიდან კალიუმის გამოორეცხვით შეიცვალა, რამაც შემდგომ გულის ავადმყოფობასთან მიგვიყვანა.

თანამედროვე მიდგომა


ადიპოზოგენიტალური დისტროფია პათოლოგიური-პოზარული სისტემის დაზიანებით შეიცვალა. ჩნდება ქალის ტიპის სიმსუქნე, ტიპურებსა და მამაკაცებს ებერებათ სარძეო ჯირკვლები, თმები სახეზე და სახეულზე არ იზრდება. დაავადებას მკაცრი დიეტით მკურნალობენ. თუ ავადმყოფს გაზრდილი აქვს მადა, უნიშნავენ პრეპარატებს, რომლებიც დანაყრების ცენტრს ბლოკავენ. ასევე ღებულობენ ჰორმონალურ და შარდსაღებ საშუალებებს, დაავადების მსუბუქი ხარისხის დროს მისი განვითარება შეიძლება შეაჩეროთ.

აინშტაინი

მედიკოსები, რომლებიც აინშტაინს მკურნალობდნენ, მას იხსენებენ, როგორც შემსრულებელ და მადლიერ პაციენტს, რომელიც ამასთან ერთად საქმის ცოდნით ადევნებდა თვალყურს თავის ჯანმრთელობას. აი, მეცნიერი კი, თავის მხრივ, წინააღმდეგობას უწევდა, როგორც შეეძლო, მორიდ გამოკვლევას, იუმორით შენიშნავდა ხოლმე, რომ „სიკვდილი ექიმების დახმარების გარეშე შეიძლება“.

პაციენტის რეჟიმი

ეპიდემიის ფიზიკის შემთხვევით მოხვედა 1919 წელს მისი დედა გახდა ავად, ოჯახს ურჩიეს ბერლინის ცნობილი ექიმი იოჰან პლე-



ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი გვარი, სახელი, მამის სახელი: ალბერტ აინშტაინი დიაგნოზი: აორტის მუცლის განვითარების ანევრიზმა საქმიანობა: ფიზიკოსი-თეორეტიკოსი დაბადების თარიღი: 1879 წელი გარდაცვალების თარიღი: 1955 წელი

ში. აინშტაინი დაუმეგობრდა მას და ანდო თავისი თავის გამოკვლევაც. პლემი ამოღო როდესაც ღებულობდა დიდ ფულს მუშაობისათვის: მან ფიზიკოსს განუსაზღვრა აორტის ანევრიზმა თითქმის მეოთხედი საუკუნით ადრე გარდაცვალებამდე – ასეთი ადრეული დიაგნოსტიკა მაშინ იშვიათობა იყო. მედიკოსები დიაგნოზის დასმის დროს აქტიურად იყენებდნენ სხეულის ცალკეულ მონაკვეთზე კაკუნს, სხეულში მმოვან მოვლენათა მოსმენასა და პალპაციას. პლემი ვირტუოზულად ფლობდა სამივე მეთოდს. დაავადების პირველი სიმპტომები აინშტაინმა 20-იანი წლების შუა პერიოდში იგ-

რძო, მაგრამ ცუდი გუნება-განწყობილება მძიმე მეცნიერულ მუშაობას მიანერა, რომელსაც მთელ ძალებს ახმარდა. თავდაპირველად ფიზიკოსს მიანდა, რომ გაუმწვავდა ღვიძლის დაავადება, რომელიც გაუჩნდა ახალგაზრდობაში, როდესაც შიმშილობდა და უხარისხო პროდუქტებით იკვებებოდა, მაგრამ მისი გამო, რომ ტკივილები მუცლის არეში მუდმივად ცვლიდა ლოკალიზაციას, გასაგები გახდა, რომ უმჯობესია, ენდო ექიმებს, უფრო სწორად ერთ ექიმს – პლემს.

აინშტაინმა გულდასმით ჩაინერა თავისი სიმპტომები, მოახდინა თავისი მუცლის არის პალპაცია, სქემაზე მიუთითა ადგილები, სადაც ტკივილებს გრძობდა, და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა ნებას თავის მეგობარ პლემს გაესინჯა იგი და დაენიშნა მკურნალობა.

მატერი რეჟიმი

პლემი დიეტოთერაპიის მიმდევარი იყო, ამიტომ სახელგანთქმულ პაციენტს უმარილო დიეტა დაუნიშნა. შემდეგ ამას მოჰყვა განკარგულება დღის რეჟიმის დაცვის შესახებ. აინშტაინმა ლოგინში თითქმის 4 თვე გაატარა, არ წვევტილად სამედიცინო ნაშრომების წერას. მკურნალობამ უშველა, მაგრამ მეცნიერი კიდევ დაახლოებით ერთი წელი უჩიოდა „ძალების დაცვას“.

შემდგომ აინშტაინი ვეგეტარიანობამ გადაიტაცა. მაგრამ მონევის აკრძალვას კატეგორიული უარით შეხვდა და ამ ნიადაგზე წაეკიდა მეგობარ ექიმს. ეს უკანასკნელი, მეგობრობა რომ დაეგრუნებინა, იძულებული გახდა, ეჩუქებინა მისთვის ძვირფასი სიგარეტი.

50-იანი წლების დასაწყისში აინშტაინმა თავი ცუდად იგრძო. სწორედ მაშინ დაიწყო ანევრიზმის (აორტის კედლის წინ წამოწევა) ამოკვეთის პირველი ოპერაციები, მაგრამ ამ ოპერაციების შემდეგ არც ერთ პაციენტს ორ კვირაზე მეტი არ უცოცხლია. როდესაც აინშტაინს შესთავაზეს ოპერაცია, მან უარი თქვა, თუმცა დათანხმდა ჰოსპიტალიზაციაზე. ტკივილგამაყუჩებლების დიდმა დოზამ და სისხლის გადასხმამ თავისი საქმე გააკეთეს, გაჩნდა იმედი, მაგრამ ერთი დღის შემდეგ ავადმყოფი გარდაიცვალა.

თანამედროვე მიდგომა

მუცლის აორტის ანევრიზმას ახლა მკურნალობენ ოპერაციის მეშვეობით, რომლის დროსაც სისხლძარღვის დაზიანებულ ადგილს აორტის ხელოვნური მონაკვეთით ცვლიან. დაზიანებულ მონაკვეთს, როგორც ვარიანტს, ამარგებენ სტენტის დახმარებით.

მსუბუქ შემთხვევაში და თუ ოპერაცია საწინააღმდეგო მაჩვენებლისაა, ანარმოვებენ თერაპევტულ მკურნალობას: ნორმაში მოჰყავთ არტერიული წნევა, ახდენენ მტკივნეული სინდრომის კუპირებას, სისხლის გადასხმას, ნიშნავენ დიურეტიკებს თირკმელის აქტიური მუშაობისათვის. პროგნოზი საშუალოდ კეთილნაყოფიერია, გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც ანევრიზმის დიამეტრი ძალიან დიდია – 6 სანტიმეტრზე მეტი.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7. 293-37-87

ცინცხალი ანეკდოტები

- ძვირფასო, გაზეთში წერენ, რომ ქვრივი ქალები შესანიშნავი ცოლები არიან, - ეუბნება ცოლი ქმარს.
- გამოდის, თავი უნდა ჩამოვიხრჩო, რათა შენ კარგი ცოლი გახდე?
მასწავლებელი ქუჩაში მიდის და ხედავს, რომ პატარა ბავშვები არაყს სვამენ, სიგარეტს აბოლებენ და კარტს თამაშობენ.
- აქ რა გინდათ, რატომ არა ხართ სკოლაში?
- კითხულობს ალმოდონტი მასწავლებელი.
- შენ კარგადა ხარ? - ეუბნებიან გაკვირვებული ბავშვები. - ხუთი წლისას ვინ მიგიღებს სკოლაში?
- შინ, გონებ, სატვა გიყვარს არა? - ეკითხება ბიჭი გოგოს პაემანზე
- კი, გიყვარს, მაგრამ რით მიხვდი?
- შენი წარბები.
- მოში, თქვენი აზრით, გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება შედეგს იძლევა?
- რა თქმა უნდა. ორშაბათს გამოვაქვეყნებ განცხადება, რომ ოფისისთვის დარაჯს ვეძებთ, უკვე სამშაბათს კი გაგვიძარცვებს.



საქართველოს რესპუბლიკის მარაბლის ქ. №7. ISSN 2233-3851. მთავარი რედაქტორი ალექს ალანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ მოგუშია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე